HYUNDAI CONNECTED MOBILITY GMBH
გამოყენების პირობები – Hyundai BLUELINK-ის და Genesis-ის ავტომობილის შიდა დაკავშირებული სერვისები
HYUNDAI-სა და GENESIS-ის ფირმის ავტომობილებისთვის
ძალაშია 2025 წლის 8 სექტემბრიდან
ცვლილებების ჩამონათვალი

- გამოყენების ეს პირობები ვრცელდება Hyundai-სა და Genesis-ის ფირმის ავტომობილებზე.
- 2025 წლის 8 ოქტომბრიდან, Genesis Connected Services-ის მიწოდებას უზრუნველყოფს Hyundai Connected Mobility GmbH, Hyundai Motor Group-ის პარტნიორი კომპანია. გთხოვთ, გაითვალისწინოთ შესაბამისი ცვლილებები პუნქტებში 1.2, 1.3 და 16.1.
- განახლდა პუნქტი 3.1, Hyundai Bluelink-ის პაკეტები (მხოლოდ Hyundai-ს ფირმის ავტომობილებისთვის).
- დაემატა პუნქტი 4.4, Google Places POI-ის ძიება (მხოლოდ ზოგიერთი ავტომობილისთვის).
- დაემატა პუნქტი 10, მონაცემებზე წვდომა და გამოყენება. ეს ცვლილება ამოქმედდება 2025 წლის 12 სექტემბრიდან.

1. შესავალი

1.1. ჩვენი Hyundai Bluelink-ის („Bluelink“) და Genesis-ის დაკავშირებული სერვისების გამოყენებისთვის („Genesis Connected Services“ ან „GCS“) (ერთად, „Services“), გთხოვთ, გაეცნოთ შემდეგ პირობებს („პირობები“ ან „გამოყენების პირობები“).
ეს პირობები გამოიყენება ყოველთვის, როდესაც იყენებთ სერვისებს, რომლებიც ხელმისაწვდომია თქვენი Hyundai-სა და Genesis-ის ფირმის ავტომობილის საინფორმაციო-გასართობ სისტემაში, დანართი 1-ში ჩამოთვლილ ქვეყნებში.
ამ პირობების უახლესი ვერსია შეგიძლიათ ნებისმიერ დროს იხილოთ საინფორმაციო-გასართობი სისტემის მენიუში (ეს არის თქვენი ავტომობილის მთავარი ბლოკი).
დამატებითი სერვისები ხელმისაწვდომია ჩვენი Hyundai-ს ან Genesis-ის აპების მეშვეობით.

1.2. ჩვენ ვართ Hyundai Connected Mobility GmbH. რეგისტრაციის მისამართია: Kaiserleipromenade5, 63067 Offenbach, Germany. ჩვენ ვართ თქვენი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პარტნიორი სერვისების მიწოდებასთან დაკავშირებით.

1.3. შეკითხვების შემთხვევაში დაგვირეკეთ ნომერზე +49 69271472377 ან მოგვწერეთ ელ-ფოსტის მისამართზე support.bluelink@hyundai-europe.com (Hyundai-ს ავტომობილებისთვის) ან mygenesis@eu.genesis.com (Genesis-ის ავტომობილებისთვის).

2. სერვისების გამოყენება

2.1. ზოგადი წინაპირობები

2.1.1. ამ პირობების მისაღებად თქვენ უნდა იყოთ 18 წლის ან უფროსი ასაკის.

2.1.2. სერვისების გამოყენება შეგიძლიათ მხოლოდ Hyundai-სა და Genesis-ის ფირმის ავტომობილებში, რომლებიც აღჭურვილია Bluelink/GCS-ის კონკრეტული ტექნიკური მოწყობილობით, კერძოდ, წინასწარ დაინსტალირებული SIM ბარათიანი მოდემით და სპეციალური ანტენით.

2.1.3. ამ პირობების საფუძველზე ჩვენთან გაფორმებული ხელშეკრულება სერვისების მიწოდების შესახებ უნდა გამოვყოთ თქვენი Hyundai-ს ან Genesis=ის ფირმის ავტომობილის ნასყიდობის (ან ლიზინგის) ხელშეკრულებისგან. ეს ორი იურიდიულად სხვადასხვა ხელშეკრულებაა, რომლებიც არსებითად არ ახდენს გავლენას ერთმანეთზე.

2.1.4. სერვისები დაკავშირებულია თქვენს კონკრეტულ ავტომობილთან და შესაბამისად, ვერ მიიღებთ ან გადასცემთ მათ სხვა ავტომობილში.

2.1.5. შეგიძლიათ, ნებისმიერ დროს გააქტიუროთ ან გამორთოთ ყველა ან მხოლოდ გარკვეული კატეგორიის სერვისები თქვენი საინფორმაციო-გასართობი სისტემის კონფიდენციალურობის პარამეტრების მეშვეობით.

2.1.6. ყველა სერვისი შესაძლოა არ იყოს ხელმისაწვდომი თქვენი კონკრეტული ავტომობილისთვის – ეს დამოკიდებულია თქვენი Hyundai და Genesis ფირმის ავტომობილის მოდელზე, ასევე, საინფორმაციო-გასართობი სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის ვერსიაზე.

2.1.7. თქვენ არ დაგეკისრებათ ხარჯები სერვისების გამოყენებისთვის ჩვენი ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში (იხილეთ პუნქტი 12 ქვემოთ, ხელშეკრულების დასრულების შესახებ ამ პირობების საფუძველზე).

2.1.8. გთხოვთ, იხილოთ პუნქტი 7.4, თუ გეგმავთ თქვენი ავტომობილის გაყიდვას ან მესამე მხარისთვის საკუთრების უფლების მუდმივად გადაცემას.

2.2. ხელშეკრულების დადება

ხელშეკრულება თქვენ და ჩვენ შორის სერვისების შესახებ იდება საინფორმაციო-გასართობი სისტემის მენიუში (თქვენი ავტომობილის მთავარი ბლოკი) სერვისების გააქტიურების შემდეგ.
ხელშეკრულება ფორმდება თქვენს ადგილობრივ ენაზე.
ამ პირობების უახლესი ვერსია ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომი იქნება საინფორმაციო-გასართობი სისტემის მენიუში.

3. სერვისის პაკეტები

3.1. HYUNDAI BLUELINK-ის პაკეტები (მხოლოდ HYUNDAI-ს ფირმის ავტომობილებისთვის)

ჩვენი Bluelink პაკეტებიდან, რომელთა შორისაა Bluelink Lite, Bluelink Plus და Bluelink Pro, შეგიძლიათ აირჩიოთ სერვისები, რომლებიც საუკეთესოდ პასუხობს თქვენს საჭიროებებს.

3.1.1. უფასო პერიოდი

როდესაც ყიდულობთ ან იჯარით იძენთ Hyundai-ს ავტომობილს, რომელიც აღჭურვილია Bluelink-ით, გარკვეულ სერვისებზე უფასო წვდომას მიიღებთ შეზღუდული დროით (**„უფასო პერიოდი“**). უფასო პერიოდის ზუსტი ხანგრძლივობა და გათვალისწინებული ფუნქციები დამოკიდებულია თქვენი ავტომობილის მოდელსა და კონფიგურაციაზე, ასევე ქვეყანაზე, სადაც ავტომობილი იყო შეძენილი. Bluelink-ის სერვისების უფასო გამოყენების პერიოდი დაიწყება თქვენი ავტომობილის გაყიდვის თარიღიდან.
ტერმინები „წინა თაობის მოდელი“ და „ახალი მოდელი“ ქვემოთ გამოიყენება მხოლოდ ავტომობილის კონფიგურაციებს შორის განსხვავებებისთვის. იმის გასარკვევად, თუ რომელ კატეგორიას მიეკუთვნება თქვენი ავტომობილი და იმისათვის, რომ გაიგოთ შესაბამისი სერვისის დარჩენილი პერიოდი, **გახსენით Bluelink აპი და მთავარ ეკრანზე დააჭირეთ „მიმდინარე გეგმას“ (“Current Plan”)**. ასევე, შეგიძლიათ ესტუმროთ Hyundai Bluelink-ის ოფიციალურ ვებგვერდს: https://www.hyundai.com/eu/bluelink.html

წინა თაობის მოდელი

წინა თაობის მოდელი გულისხმობს 2019 წლიდან 2024 წლამდე გამოშვებულ მოდელებს, Bluelink-ის უფრო ადრინდელი კონფიგურაციებით. ზუსტი შესაბამისობის და ხელმისაწვდომი სერვისების სანახავად Bluelink აპი შეამოწმეთ.

- უფასო წვდომა Bluelink **Pro**-ზე (3 წელი) ან **Plus**-ზე (5 წელი), თქვენი ავტომობილის მოდელიდან გამომდინარე.
- ამ პერიოდის შემდეგ Bluelink-ის სერვისების გასაგრძელებლად საჭიროა ფასიანი გამოწერა.
- თუ არ განაახლებთ, სერვისები გამოირთვება და თქვენი ავტომობილი საწყის პარამეტრებზე დაბრუნდება (ყველა პირადი პარამეტრი წაიშლება).

ახალი მოდელი

ახალი მოდელი მოიცავს 2025 წლიდან და შემდეგ გამოცემულ მოდელებს. ზუსტი შესაბამისობის და ხელმისაწვდომი სერვისების სანახავად Bluelink აპი შეამოწმეთ.

- უფასო წვდომა **Bluelink Lite**-ზე 10 წლამდე.
- Bluelink Lite-ის გარდა, უფასო წვდომა **Bluelink Plus**-სა და **Pro**-ზე მინიმუმ 6 თვით, რომლის შემდეგაც საჭიროა ფასიანი გამოწერა Bluelink-ის შესაბამისი სერვისის გასაგრძელებლად.
- თუ არ გამოიწერთ Bluelink Plus-ს ან Pro-ს, ავტომობილში გაგრძელდება Bluelink Lite პაკეტით გათვალისწინებული სერვისები 10-წლიანი უფასო პერიოდის დარჩენილი ვადით.

3.1.2. გამოწერების პაკეტები უფასო პერიოდის შემდეგ

უფასო პერიოდის დასრულების შემდეგ შეძლებთ, აირჩიოთ Bluelink-ის შემდეგი პაკეტებიდან ერთ-ერთი თქვენი ავტომობილის მოდელისა და კონფიგურაციის შესაბამისად, ასევე ქვეყნის მიხედვით, სადაც ავტომობილი იყო შეძენილი:

Bluelink Lite

პაკეტი მოიცავს ძირითად ფუნქციებს, როგორიცაა დაკავშირებული მარშრუტის, ელექტროავტომობილის (EV) სერვისები, ავტომობილის სტატუსის განახლება Bluelink აპში და Hyundai Digital Key (ამ ფუნქციის მხარდაჭერის შემთხვევაში).
უფასოა 10 წლამდე ვადით მხოლოდ ახალი მოდელის ავტომობილებში (არ ვრცელდება წინა თაობის მოდელებზე).

Bluelink Plus

ემატება დისტანციური ფუნქციები (მაგ.: კლიმატ-კონტროლი, ჩაკეტვა) და live სერვისები (მაგ.: ამინდი, სიჩქარის კამერები).
უფასო წვდომის ხანგრძლივობა შეიძლება განსხვავდებოდეს:

- 5 წლამდე ვადით წინა თაობის მოდელებისთვის, OTA მხარდაჭერის გარეშე
- 3 წელი წინა თაობის მოდელებისთვის, OTA ფუნქციით
- მინიმუმ 6 თვე ახალი მოდელებისთვის

ამის შემდეგ სერვისები ხელმისაწვდომი იქნება ფასიანი გამოწერით.

Bluelink Pro

მოიცავს Lite და Plus პაკეტის ყველა ფუნქციას, ასევე სტრიმინგ სერვისებს (მხარდაჭერის შემთხვევაში) და საინფორმაციო-გასართობი სისტემის უსადენო ქსელით („over-the-air“) განახლებებს.
უფასო წვდომის ხანგრძლივობა შეიძლება განსხვავდებოდეს:

- 3 წელი წინა თაობის მოდელებისთვის, OTA ფუნქციით
- 6 თვე ახალი მოდელებისთვის

ამის შემდეგ სერვისები ხელმისაწვდომი იქნება ფასიანი გამოწერით.
შენიშვნა: პაკეტის მახასიათებლების სრული ჩამონათვალის სანახავად,იხილეთ ვებ-გვერდი: https://www.hyundai.com/eu/bluelink.html

3.1.3. ცვალებადობა და სერვისის განახლებები

უფასო წვდომა და პაკეტის ხელმისაწვდომობა შეიძლება განსხვავდებოდეს ავტომობილის შეძენის ქვეყნის, ავტომობილის ტიპის ადა ტექნიკური სპეციფიკაციების მიხედვით.
Hyundai იტოვებს უფლებას, განაახლოს ან შეცვალოს სერვისები 14 პუნქტში („ცვლილებები“) მითითებული წესით.

3.2. GENESIS-ის დაკავშირებული სერვისების პაკეტები

Genesis-ის დაკავშირებული სერვისების არსებული მომხმარებლებისთვის ყველა სერვისის მიწოდება მოხდება ჩვეულებრივი პირობებით, ხუთ (5) წლიანი უფასო პერიოდის დარჩენილი დროის განმავლობაში ავტომობილის რეგისტრაციის თარიღიდან.
უფასო პერიოდის ამოწურვის შემდეგ შეძლებთ, დადგენილი საფასურის სანაცვლოდ გამოიწეროთ მომსახურების პაკეტი, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება თქვენი ავტომობილის მოდელისთვის.

4. სერვისების ჩამონათვალი

Hyundai Bluelink-ის მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომი სერვისები დამოკიდებული იქნება შერჩეულ Bluelink-ის პაკეტზე. Genesis-ის დაკავშირებული სერვისების მომხმარებლები ისარგებლებენ ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი სერვისით.

4.1. LIVE სერვისები (მხოლოდ BLUELINK PLUS-ისა და BLUELINK PRO-სთვის)

ჩვენი Live (რეალურ დროში) სერვისები საშუალებას გაძლევთ, იქონიოთ წვდომა შემდეგ ფუნქციებზე ავტომობილის საინფორმაციო-გასართობი სისტემის მეშვეობით:

4.1.1. ტრანსპორტის მოძრაობა LIVE რეჟიმში

Bluelink და GCS იყენებს ინფორმაციას რეალურ დროში ტრანსპორტის მოძრაობის შესახებ, რათა მოგაწოდოთ საუკეთესო მარშრუტები არსებულ ვითარებაში. ეს საშუალებას გაძლევთ, შეამციროთ მარშრუტის ხანგრძლივობა და განსაზღვროთ ადგილზე მისვლის ზუსტი დრო.

4.1.2. LIVE პარკირება

Live პარკირება გეხმარებათ, იპოვოთ ადგილი ავტოსადგომზე უფრო ეფექტური და კომფორტული პარკირებისთვის.
ინფორმაცია პარკირების შესახებ საშუალებას გაძლევთ, შეადაროთ პარკირების ვარიანტები მრავალდონიან ავტოსადგომებზე, პარკირების არეალსა და ქუჩაში.
Live პარკირება გაწვდით ინფორმაციას პარკირების თავისუფალი ადგილების შესახებ შუქნიშნის სისტემის გამოყენებით (მწვანე, ყვითელი, წითელი), ასევე პარკირების ღირებულების შესახებ, სადაც ეს ხელმისაწვდომია.

4.1.3. ბენზინგასამართი სადგურები LIVE რეჟიმში

ეს სერვისი გეხმარებათ, იპოვოთ უახლოესი და ყველაზე იაფი საწვავის მქონე სადგურები. ბენზინგასამართი სადგურების live ფუნქცია გაწვდით ინფორმაციას საწვავის ფასზე რეალურ დროში და მიუთითებს ფასის დონეზე ფერების გამოყენებით (მწვანე, წითელი).

4.1.4. ამინდი

ეს ფუნქცია გაწვდით ინფორმაციას მომდევნო ხუთი დღის ამინდის შესახებ.

4.1.5. HYUNDAI & GENESIS მომსახურება

ეს ფუნქცია Hyundai/Genesis-ის დილერის ან მომსახურების ცენტრის და საკონტაქტო ინფორმაციის ადვილად მოძიების საშუალებას გაძლევთ.

4.1.6. კამერა/სახიფათო ზონის გაფრთხილებები (მხოლოდ თუ კანონით დასაშვებია თქვენს ქვეყანაში)

ეს ფუნქცია აგზავნის გაფრთხილებებს იმ ადგილებში, სადაც უბედური შემთხვევები განსაკუთრებით ხშირია და გაფრთხილებთ „სახიფათო ზონის“, სიჩქარის კამერებისა და შუქნიშნების შესახებ.

4.1.7. სპორტული ლიგა

ფუნქცია „სპორტული ლიგა“ გაწვდით უახლესი თამაშების შედეგებს. ამჟამად ჩართული სპორტის სახეობებია: ფეხბურთი, კალათბურთი, ბეისბოლი და გოლფი, ასევე, მსოფლიოს ჩემპიონატი მძლეოსნობაში, ოლიმპიადები და FIFA-ს მსოფლიო თასი.

4.2. ელექტროავტომობილების POI (ინტერესის პუნქტი) LIVE რეჟიმში (მხოლოდ EV და PHEV ავტომობილებისთვის) (BLUELINK-ის ყველა პაკეტისთვის)

ელექტროავტომობილის POI გეხმარებათ Live რეჟიმში იპოვოთ ყველაზე ახლომდებარე და საუკეთესო EV დასამუხტი სადგური თქვენი მოთხოვნების შესაბამისად (მაგ.: დამუხტვის ტიპი).

4.3. ინტერესის პუნქტი (POI) LIVE რეჟიმში & LIVE უფასო ტექსტური ძიება (BLUELINK-ის ყველა პაკეტისთვის)

Bluelink-ისა და GCS-ის მეშვეობით ჩვენ გთავაზობთ POI (ინტერესის პუნქტი) მძლავრ ონლაინ სერვისს, რაც ასევე საშუალებას გაძლევთ, მიიღოთ დამატებითი ინფორმაცია (როგორიცაა, სამუშაო საათები) და ადგილმდებარეობაზე დაფუძნებული ინფორმაცია გარკვეული POI-ების შესახებ, პირდაპირ თქვენი საინფორმაციო-გასართობი სისტემის ნავიგაციის ეკრანზე.

გარდა ამისა, მხოლოდ Hyundai Bluelink-ის მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომია შემდეგი ფუნქციები: ცალკეული POI-ები გამოჩნდება ნავიგაციის რუკაზე, როგორც პატარა სამაგრი (pin) შესაბამისი მესამე მხარის მიმწოდებლის ლოგოთი. რაიმე მიმდინარე აქციის შემთხვევაში ლოგოს გვერდით დაინახავთ „%“ სიმბოლოს, რომელიც შეიძლება საინტერესო იყოს თქვენთვის. თუ დააწკაპუნებთ სიმბოლოზე, გაიხსნება დეტალური ეკრანი, რომელიც შეიცავს დამატებით ინფორმაციას, შეთავაზებას და, მაგალითად, ფასდაკლების ან სარეკლამო QR კოდს.

ასევე შეგიძლიათ, ნავიგაციის სისტემაში მოიძიოთ სხვადასხვა POI-ები თქვენი სასურველი POI კატეგორიის არჩევით (მაგ,: ბენზინგასამართი სადგური, პარკირება, შოპინგი/სურსათი). თუ რომელიმე არჩეულ მიმწოდებელს აქვს მიმდინარე აქცია ან კამპანია, ის ჩამონათვალის ზედა ნაწილში გამოჩნდება და დაინახავთ „%“ სიმბოლოს, რომელიც შეთავაზებაზე მიუთითებს. შესაბამის მიმწოდებელზე დაწკაპუნებით ეკრანზე მიიღებთ დამატებით ინფორმაციას POI-ს შესახებ და წვდომას შეთავაზებაზე, როგორიცაა ფასდაკლება ან სარეკლამო QR კოდი.

გარდა ამისა, შეგიძლიათ, იპოვოთ შესაბამის მიმდინარე ადგილმდებარეობაზე დაფუძნებული შეთავაზებების ჩამონათვალი „ყველა POI“-ს „ახლომდებარე შეთავაზებების“ კატეგორიაში, ნავიგაციის სისტემის „ახლომდებარე POI“ მენიუში.

თქვენ ასევე შეგიძლიათ, მიიღოთ შეთავაზებები და ინფორმაცია ავტომობილიდან პირდაპირ თქვენს Hyundai აპში, push-შეტყობინებების სახით, დეტალურ ეკრანზე, სმარტფონის ხატულაზე ან ღილაკზე „ტელეფონში გაგზავნა“ ("send to phone") დაწკაპუნებით. ყველა push-შეტყობინების ჩამონათვალი, რომელიც გაგზავნილია თქვენი ავტომობილიდან, შეგიძლიათ იხილოთ “More” – “Offer Inbox”-ში.

იმისათვის, რომ მოგაწოდოთ საინტერესო და მაღალი ხარისხის შეთავაზებები, ჩვენ ვიყენებთ მესამე მხარის სერვისის მიმწოდებლის სერვისებს, რაც ქმნის პლატფორმას, სადაც შერჩეულ მიმწოდებლებს/პარტნიორებს ყველა შესაბამისი POI კატეგორიიდან შეუძლიათ თავიანთი მარკეტინგული კამპანიის გაშვება.

მიმწოდებელი Hyundai-ს უხდის ყოველი სამაგრის (pin) ჩვენების და მათ რომელიმე შეთავაზებაზე ურთიერთქმედებისთვის. თუ არ გსურთ ამ ტიპის პარტნიორული მარკეტინგის ნახვა, გთხოვთ, საინფორმაციო-გასართობ სისტემაში გამორთოთ ფუნქცია „ადგილმდებარეობაზე დაფუძნებული ავტომობილის შიდა სერვისები“, „კონფიდენციალურობის პარამეტრების“ მენიუში. ეს ასევე გამორთავს სხვა, მდებარეობაზე დაფუძნებულ სერვისებს ავტომობილში, როგორიცაა ელექტროავტომობილის POI და დაკავშირებული მარშრუტიზაცია.

4.4. GOOGLE PLACES POI-ს ძიება (მხოლოდ HYUNDAI-სა და GENESIS-ის გარკვეულ მოდელებში)

Bluelink-ის და GCS-ის მეშვეობით მოგაწვდით უახლეს ლოკაციებს და დეტალებს ერთ-ერთი უდიდესი მონაცემთა ბაზიდან, პირდაპირ თქვენი საინფორმაციო-გასართობი სისტემის ნავიგაციის ეკრანზე. თავისუფალი ტექსტური ძიების და ავტომატური შევსების ფუნქციები საშუალებას გაძლევთ, მარტივად მოძებნოთ სასურველი ადგილი, მათ შორის, კონკრეტულ ტერიტორიაზე, მაგ.: თქვენი მარშრუტის გასწვრივ. ასევე, მიიღებთ დეტალურ ინფორმაციას რეალურ დროში, როგორიცაა სამუშაო საათები, ფასების შესახებ ინფორმაცია, ადგილის აღწერა, მომხმარებელთა მიმოხილვები და სხვა.

4.5. ეს ფუნქცია თქვენს მთავარ ბლოკში გატყობინებთ გადაუდებელი დახმარების ისეთი ავტომობილის შესახებ, როგორიცაა სასწრაფო დახმარების მანქანა.

4.6. ონლაინ ხმის ამოცნობა (BLUELINK-ის ყველა პაკეტისთვის)

შეგიძლიათ, გამოიყენოთ ხმოვანი ბრძანების ფუნქცია საინფორმაციო-გასართობ სისტემაზე წვდომისა და კონტროლისთვის, ასევე ტექსტური შეტყობინებების შედგენის და გაგზავნისთვის.
ონლაინ ხმის ამოცნობის ფუნქცია მუშაობს ჩვენი Bluelink/GCS ღრუბლოვან გარემოში.
თქვენი ხმოვანი ნიმუშები და GPS კოორდინატები დამუშავდება ხმის ამოცნობის სერვისის განხორციელებისა და გაუმჯობესების მიზნით.
ონლაინ ხმის ამოცნობა ამჟამად ხელმისაწვდომია შემდეგ ენებზე: ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური, ესპანური და ნიდერლანდური.
თუ ონლაინ ხმის ამოცნობის ფუნქცია გამორთულია ან არ არის ხელმისაწვდომი, შეგიძლიათ გამოიყენოთ ხმის ამოცნობის ხაზგარეშე რეჟიმი. ძირითადი განსხვავება არის ის, რომ ხაზგარეშე რეჟიმი მხოლოდ კონკრეტულ ბრძანებებს ეყრდნობა. ძიების შედეგები მიიღება შიდა მონაცემთა ბაზიდან, რომელიც შეიძლება არ იყოს განახლებული. ხაზგარეშე რეჟიმში ჩვენ არ ვამუშავებთ თქვენი ხმის ნიმუშებს და GPS კოორდინატებს სერვისის გასაუმჯობესებლად.

4.7. ავტომობილის დიაგნოსტიკა (BLUELINK-ის ყველა პაკეტისთვის)

ავტომობილის დაგნოსტიკა გაწვდით ინფორმაციას ავტომობილის გარკვეული საკონტროლო ბლოკების აქტიური პრობლემის კოდების (ავტომობილის შეცდომის/ხარვეზის შეტყობინებები) შესახებ.

4.8. დაკავშირებული მარშრუტიზაცია (BLUELINK-ის ყველა პაკეტისთვის)

დაკავშირებული მარშრუტიზაცია გულისხმობს, რომ თქვენი ამჟამინდელი ადგილმდებარეობიდან დანიშნულების ადგილამდე მარშრუტის გამოანგარიშება ხდება Bluelink/GCS ღრუბლოვან გარემოში არსებული მძლავრი სერვერის და არა მხოლოდ საინფორმაციო-გასართობის სისტემის მიერ.

4.9. სასურველი მარშრუტი (BLUELINK-ის ყველა პაკეტისთვის)

სასურველი მარშრუტის ფუნქცია საშუალებას გაძლევთ, შეადაროთ ხშირად გავლილი მარშრუტები გარკვეულ საწყის წერტილსა და დანიშნულების ადგილს შორის, რათა მოგაწოდოთ თქვენთვის უპირატესი მარშრუტის გაანგარიშება.

4.10. მომხმარებლის პროფილი (BLUELINK-ის ყველა პაკეტისთვის)

მომხმარებლის პროფილი საშუალებას გაძლევთ, შეინახოთ ავტომობილის სხვადასხვა პარამეტრები თქვენს Bluelink/GCS ღრუბლოვან სივრცეში და გამოიყენოთ ისინი სხვადასხვა ავტომობილში.
მომხმარებლის პროფილის დასაყენებლად დაიცავით ინსტრუქციები საინფორმაციო-გასართობ სისტემაში და თქვენი პროფილი მიაბით Hyundai/ Genesis-ის ანგარიშს. თქვენ შეგიძლიათ თითო ავტომობილზე ორი პროფილის და, დამატებით, სტუმრის ერთი პროფილის დაყენება.
ამ ფუნქციის გამოყენება შესაძლებელია, როდესაც ორი ან მეტი მძღოლი იყენებს ერთსა და იმავე ავტომობილს, მაგრამ სხვადასხვა პარამეტრებს ამჯობინებენ ხმის, ენის ან რუკის ხედვისთვის.
მძღოლის/მომხმარებლის პროფილში შენახული მონაცემები მოიცავს, მაგ.: პროფილის სურათსა და წინა დანიშნულების ადგილებს.
ყველა ამ პარამეტრის გადატანა შესაძლებელია სხვა ავტომობილში Bluelink-ის ან GCS-ის მეშვეობით. თუ მეგობარი დროებით იყენებს თქვენს ავტომობილს, შეგიძლიათ, გამოიყენოთ სტუმრის პროფილი.

4.11. პერსონალიზებული სერვისი (BLUELINK-ის ყველა პაკეტისთვის)

შესაძლებელია თქვენი მომხმარებლის პროფილის შემდგომი პერსონალიზება ნავიგაციის სასურველი პარამეტრების, მედიის ხმის სიძლიერისა და მძღოლის სავარძლის ან მთავარი ბლოკის მდგომარეობის შენახვის გზით, და ამ პერსონალიზებული მომხმარებლის პროფილის თქვენი Hyundai/Genesis-ის ანგარიშთან დაკავშირება. ნავიგაციის სასურველი პარამეტრების განახლების დროს ისინი ავტომატურად სინქრონიზდება ყველა ავტომობილში, რომელიც დაკავშირებულია თქვენს Hyundai/Genesis-ის ანგარიშთან.
თუ თქვენს Hyundai/Genesis-ის ანგარიშს მიაბამთ მესამე მხარის სერვისის მიმწოდებლის ანგარიშებთან, როგორიცაა Google ან Apple კალენდარი, ნებისმიერი ავტომობილის საინფორმაციო-გასართობი სისტემა, რომელიც დაკავშირებულია თქვენს Hyundai ანგარიშთან, ავტომატურად შევა სისტემაში და სინქრონიზდება.

4.12. შეტყობინებების ცენტრი (BLUELINK-ის ყველა პაკეტისთვის)

შეტყობინების ცენტრი საშუალებას გვაძლევს, გამოგიგზავნოთ ინფორმაცია თქვენი ავტომობილის შესახებ.
ამ სერვისს მხოლოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციისთვის გამოვიყენებთ. ინფორმაცია თქვენი მანქანის საინფორმაციო-გასართობ სისტემაში ამომხტარი ფანჯრის სახით გამოჩნდება. შეგიძლიათ გამორთოთ გარკვეული ტიპის ინფორმაციის მიღება პარამეტრებში ან ამომხტარი ფანჯრის გამოჩენის დროს.

4.13. კალენდარი (BLUELINK-ის ყველა პაკეტისთვის)

Bluelink/GCS-ის მეშვეობით შესაძლებელია Google ან Apple კალენდრის სინქრონიზაცია თქვენი ავტომობილის საინფორმაციო-გასართობ სისტემაში ინტეგრირებული კალენდრის ფუნქციასთან.

4.14. მოწონების ფუნქცია (BLUELINK-ის ყველა პაკეტისთვის)

USB-ს, Bluetooth-ის ან რადიოს მეშვეობით მუსიკის მოსმენის დროს, შეგიძლიათ გამოიყენოთ „ზემოთ მიმართული ცერა თითის“ და „ქვემოთ მიმართული ცერა თითის“ გამოსახულებიანი ღილაკები მუსიკის

შესაფასებლად. მოწონებული სიმღერები დაემატება სიმღერების კრებულს (მხოლოდ USB-ს შემთხვევაში).

4.15. მუსიკის სტრიმინგი (მხოლოდ BLUELINK PRO პაკეტისთვის)

მუსიკის სტრიმინგის ფუნქციის მეშვეობით შეგიძლიათ, მუსიკის ნაკადური გადაცემა გარკვეული სერვისებიდან პირდაპირ თქვენს ავტომობილში, საინფორმაციო-გასართობი სისტემის მეშვეობით. ამ ფუნქციის გამოსაყენებლად საჭიროა მუსიკის სტრიმინგ პლატფორმის მოქმედი გამოწერა. Bluelink/GCS-ის გამოწერის განმავლობაში დამატებითი ხარჯები არ დაგეკისრებათ.

ფუნქციის გასააქტიურებლად გადადით საინფორმაციო-გასართობი სისტემის „მედიის“ მენიუში და აირჩიეთ მუსიკის სტრიმინგის სერვისი. ტელეფონით დაასკანირეთ QR-კოდი თქვენი ანგარიშის მუსიკის სტრიმინგის სერვისთან დასაკავშირებლად. Hyundai/Genesis აპების მეშვეობით გადახვალთ შესაბამისი სერვისის სისტემაში შესვლის გვერდზე. სისტემაში წარმატებით შესვლის შემდეგ ავტომობილის საინფორმაციო-გასართობი სისტემის ეკრანზე დააწკაპუნეთ ღილაკზე „დაკავშირება და გაგრძელება“. გაითვალისწინეთ, რომ თქვენი ანგარიშის მიბმა შეგიძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ავტომობილი დამატებული გაქვთ Hyundai/Genesis-ის აპში და აპი მიბმულია ავტომობილის მძღოლის პროფილთან.

გაითვალისწინეთ, რომ მუსიკის სტრიმინგი ხელმისაწვდომია მხოლოდ Hyundai/Genesis-ის გარკვეული მოდელებისთვის.

4.16. თითის ანაბეჭდი (მხოლოდ GENESIS-ის ავტომობილის შერჩეული მოდელებისთვის)

ამ ფუნქციით შეგიძლიათ დააყენოთ თითის ანაბეჭდით იდენტიფიკაცია თითოეული მომხმარებლის პროფილისთვის. თითის ანაბეჭდის დაყენებით შეგიძლიათ თითის ანაბეჭდის ამოცნობის ფუნქციის დაყენება პაროლის ნაცვლად შესაფერის ფუნქციებზე, როგორიცაა ავტომობილის დაქოქვა, თქვენი პროფილის განბლოკვა და პარკინგისრეჟიმიდან გამოსვლა.

5. OTA (უსადენო ქსელით) განახლება

ავტომობილის გარკვეულ მოდელებზე, როგორც უკვე გაცნობეთ, Bluelink/GCS გაწვდით პროგრამული უზრუნველყოფის უსადენო (“over-the-air”) განახლებებს („OTA განახლებები“) ავტომობილის სისტემისთვის, ასევე რუკის და საინფორმაციო-გასართობი სისტემისთვის.

თქვენი საინფორმაციო-გასართობი სისტემა რეგულარულად შეამოწმებს კომპიუტერული პროგრამის ახალი ვერსიების ხელმისაწვდომობას, ავტომატურად ჩამოტვირთავს პროგრამული უზრუნველყოფის ნებისმიერ ხელმისაწვდომ განახლებას თქვენს ავტომობილში და მოამზადებს შესაბამის ინსტალაციას, თუ ამის შესახებ თანხმობა განაცხადეთ. საინფორმაციო-გასართობი სისტემის გამოყენება შეგიძლიათ ჩამოტვირთვისა და მომზადების პროცესში.

პროგრამული განახლების ინსტალაციის დასრულებამდე თქვენ უნდა აირჩიოთ, ახლა გსურთ პროგრამული უზრუნველყოფის განახლება თუ მოგვიანებით. ყოველი განახლებით გეცნობებათ განახლების შინაარსი და დამატებითი ინფორმაცია განახლების პროცესის შესახებ.

შეგიძლიათ, გამორთოთ ეს ფუნქცია Bluelink & GCS კავშირის დეაქტივაციის გზით თქვენი ავტომობილის საინფორმაციო-გასართობ სისტემაში.

ასეთ შემთხვევაში, ან თუ სხვა მიზეზით არ დააყენებთ OTA განახლებას, პროგრამული განახლებები ჩვეულ რეჟიმში შესრულდება (მექანიკურად, USB მეხსიერების ან SD-ბარათის მეშვეობით, ასევე Hyundai/Genesis-ის ბაზაზე).

გაითვალისწინეთ, რომ შესაძლოა დაგეკისროთ დამატებითი გადასახადი ზოგიერთი პროგრამული განახლებისთვის, რომელიც, თქვენი მოთხოვნით, ბაზაზე განხორციელდება. დეტალებისთვის წინასწარ დაუკავშირდით თქვენს დილერს. საფასური არ ვრცელდება განახლებებზე სავალდებულო მომსახურების ფარგლებში.

გარდა ამისა, ვიტოვებთ უფლებას, ცალკეული პროგრამული განახლებები განვახორციელოთ მხოლოდ ამისთვის განსაზღვრულ ცენტრებში. თქვენ არ ხართ ვალდებული, ჩამოტვირთოთ ან დააყენოთ OTA განახლებები; თუმცა, ასეთ შემთხვევაში, თქვენმა ავტომობილმა ან გაწეულმა სერვისებმა (როგორიცაა, უსაფრთხოების სისტემები, საინფორმაციო-გასართობი სისტემა, Bluelink და GCS) შესაძლოა სათანადოდ ვერ ან საერთოდ არ იმუშაოს.

5.1. ავტომობილის სისტემის OTA განახლება (BLUELINK-ის ყველა პაკეტისთვის)

OTA განახლებები შეიძლება ეხებოდეს ავტომობილის სისტემას და სხვადასხვა მიზეზით და მიზნით განხორციელდეს, კერძოდ, დეფექტის გამოსწორების მიზნით შესაბამის საგარანტიო პერიოდში, მწარმოებლის გარანტიის ფარგლებში ან უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა მიზეზით.

თუ პროგრამული განახლება Bluelink/GCS OTA განახლების სერვისის მეშვეობით მოგეწოდებათ, პროგრამის განახლებასთან დაკავშირებული სავალდებულო ნორმები და სხვა შეთანხმებები, რომლებიც უპირატესი იურიდიული ძალის მქონე დებულებებს მოიცავს, უცვლელი დარჩება.

გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ შეტყობინებას თითოეული განახლების შესახებ და მიჰყვეთ მითითებულ ინსტრუქციას. თქვენ ვერ შეძლებთ ავტომობილის მართვას ინსტალაციის პროცესში.

5.2. რუკების და საინფორმაციო-გასართობი სისტემის OTA განახლება (მხოლოდ BLUELINK PRO-ს პაკეტისთვის)

ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში ჩვენ ასევე შეიძლება მოგაწოდოთ OTA განახლებები თქვენი ავტომობილის საინფორმაციო-გასართობი სისტემისა და რუკებისთვის.
საინფორმაციო-გასართობი სისტემის OTA განახლებები შეიძლება მოიცავდეს განახლებებს, რომლებიც სავალდებულოა სერვისების მომსახურებისთვის, ამ წესების შესაბამისად (მაგ. ფუნქციონალის, თავსებადობის ან უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად). ასეთ განახლებებს ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში მოგაწოდებთ.
დამატებით ინფორმაციას განახლების პროცესთან დაკავშირებით, ასევე თითოეული პროგრამული განახლების შინაარსის დეტალებს მიიღებთ განახლების შესახებ შეტყობინებასთან ერთად. თქვენ ვერ შეძლებთ საინფორმაციო-გასართობი სისტემის ჩართვას ინსტალაციის პროცესში.

6. ინტელექტუალური საკუთრების უფლებები

6.1. სერვისების შინაარსი დაცულია მოქმედი საავტორო უფლებების და ინტელექტუალური საკუთრების სხვა კანონებით, ყველა უფლების დაცვით. სერვისებთან დაკავშირებული ყველა უფლება, კერძოდ, ძირითად პროგრამულ უზრუნველყოფაზე, შინაარსსა და მოწყობაზე, ეკუთვნის Hyundai Motor Group-ს ან ლიცენზირებულია მის მიერ (Hyundai Motor Group გულისხმობს Hyundai Motor Company-ს და მის აფილირებულ კომპანიებს).

6.2. გამოყენების ამ პირობებში არაფერი ა4 უნდა იქნეს გაგებული, როგორც ლიცენზიის ან უფლების მინიჭება შემდეგზე:

6.2.1. ნებისმიერი გამოსახულების, სავაჭრო ნიშნის, მომსახურების ნიშნის ან ლოგოს გამოყენება, რომლებიც Hyundai Motor Group-ის საკუთრებას წარმოადგენს. Hyundai Motor Group იტოვებს ყველა უფლებას მის საკუთრებაში არსებულ ინფორმაციასა თუ მასალაზე, რაც სერვისებს უკავშირდება და სრულად აღასრულებს ასეთ უფლებებს, საავტორო უფლებებისა და სავაჭრო ნიშნების შესახებ მოქმედი კანონით დაშვებულ ფარგლებში;

6.2.2. Hyundai Bluelink-ის, Genesis-ის დაკავშირებული სერვისების ან სხვა მომსახურებების დაქირავება, იჯარა, ქვე-ლიცენზირება, სესხება, უზრუნველყოფა ან სხვაგვარად ხელმისაწვდომობა ნებისმიერ ფორმაში, სრულად ან ნაწილობრივ, ნებისმიერი პირისთვის, ჩვენი მხრიდან წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;

6.2.3. Hyundai Bluelink-ის, Genesis-ის დაკავშირებული სერვისების ან სხვა მომსახურებების გადაღება/კოპირება, გარდა Hyundai Bluelink/GCS-ის ჩვეულებრივი გამოყენების ფარგლებში ან სადაც ეს საჭიროა სარეზერვო ასლის ან ექსპლუატაციის უსაფრთხოების მიზნებისთვის;

6.2.4. Hyundai Bluelink-ის, Genesis-ის დაკავშირებული სერვისების ან სხვა მომსახურებების სრულად ან ნაწილობრივ გარდაქმნა, შერწყმა, ადაპტირება, ცვლილება, შეცვლა ან მოდიფიკაცია; ასევე, დაუშვებელია Hyundai Bluelink-ის, Genesis-ის დაკავშირებული სერვისების და სხვა მომსახურებების ან ნებისმიერი ნაწილის სხვა პროგრამებთან გაერთიანება ან ჩართვა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს საჭიროა Hyundai Bluelink-ის, Genesis-ის დაკავშირებული სერვისების და სხვა მომსახურებების გამოყენებისთვის მოწყობილობებზე, რომლებიც გამოყენების ამ პირობებით არის ნებადართული;

6.2.5. Hyundai Bluelink-ის, Genesis-ის დაკავშირებული სერვისების და სხვა მომსახურებების სრულად ან ნაწილობრივ დაშლა, დეკომპილაცია, რევერსული ინჟინერია ან წარმოებული სამუშაოს შექმნა; ასევე, ასეთი ქმედების განხორციელების მცდელობისგან თავის შეკავება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ქმედებები არ შეიძლება აიკრძალოს მოქმედი კანონის შესაბამისად („დაშვებული მიზანი“); და იმ პირობით, რომ ასეთი საქმიანობის დროს თქვენ მიერ მიღებული ინფორმაცია:

6.2.5.1. არ გამჟღავნდება ან გადაეცემა რომელიმე მესამე მხარეს ჩვენი წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, როდესაც საჭირო არ არის ამის გამჟღავნება ან გადაცემა დაშვებული მიზნის მისაღწევად;

6.2.5.2. არ იქნება გამოყენებული ისეთი პროგრამული უზრუნველყოფის შესაქმნელად, რომელიც გამოხატულებით არსებითად მსგავსია Hyundai Bluelink-ის და Genesis-ის დაკავშირებული სერვისებისა;

6.2.5.3. ინახება უსაფრთხოდ და

6.2.5.4. გამოიყენება მხოლოდ დაშვებული მიზნისთვის.

7. მომხმარებლის ვალდებულებები

7.1. სერვისების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ამ პირობების შესაბამისად.

7.2. კერძოდ, თქვენ უნდა უზრუნველყოთ, რომ:
1.
დაიცავთ შესაბამის კანონებსა და რეგულაციებს და პატივს სცემთ მესამე მხარეების უფლებებს სერვისების გამოყენებისას;
2.

არ გამოიყენებთ სერვისებს არაკანონიერი მიზნებისთვის, ან ხელის არ შეუწყობთ მესამე მხარეების მიერ სერვისების უკანონო გამოყენებას;

3.

არ შეცვლით რაიმეს თქვენს ავტომობილში (მათ შორის, აპარატურასა და კომპიუტერულ პროგრამას, ასევე მესამე მხარის პროგრამულ უზრუნველყოფას) იმგვარად, რომ ამან სერვისების ფუნქციონალურობაზე იმოქმედოს.

4.

არ შეაფერხებთ სერვისებს განზრახ არანაირი საშუალებით;

5.

არ გამოიყენებთ SIM-ბარათს, რომელიც ჩაშენებულია ავტომობილის საინფორმაციო-გასართობ სისტემაში სერვისების მისაწოდებლად:

ა) ხმის გადასაცემად (VoIP-ის ჩათვლით);

ბ) საჯარო მისამართის მქონე დანიშნულების ადგილზე წვდომისთვის (მაგ., საჯარო IP-მისამართი), მათ შორის, პროქსის, გამტარის ან მარშრუტირების გამოყენებით;

გ) რაიმე ფორმით უსაფრთხოების ზომების დარღვევის მცდელობისთვის, მიუხედავად იმისა, გამოიწვევს თუ არა სისტემაში შეღწევა მონაცემების დაზიანებას ან დაკარგვას;

დ) ინტერნეტ რელე ჩეთის, ფაილების პირდაპირი გაზიარების, BitTorrent-ის ან პროქსი სერვერის ქსელისთვის სერვისების ან დაკავშირებული პროგრამული უზრუნველყოფის რაიმე ფორმით გამოყენების მიზნით;

ე) ნებისმიერი ფორმით სპამის, არასანქცირებული ელფოსტისა და კომერციული შეტყობინებების დაგზავნას ან ღია SMTP რეტრანსლირების მხარდაჭერას; ან

ვ) ნებისმიერი ფორმით, რაც იწვევს ქსელის შეფერხებას; და

6.

არ გაუმჟღავნებთ ჩაშენებული SIM-ბარათის, ქსელის, სერვისების ან მათი შემადგენელი ნაწილის რაიმე ნიშნულს ან ეფექტურობის მაჩვენებელს მესამე მხარეს.

7.3. თქვენ დაგეკისრებათ ზემოაღნიშნული ვალდებულებების დარღვევის შედეგად ყველა ის ხარჯი, რომელიც გამოწვეულია სერვისების არასწორი გამოყენებით.

7.4. თუ თქვენს ავტომობილს გაყიდით ან სხვაგვარად მუდმივად გადასცემთ მას მესამე მხარეს, დარწმუნდით, რომ საინფორმაციო-გასართობ სისტემაში გამორთეთ Bluelink/GCS.

8. ქსელზე ხელმისაწვდომობა

8.1. ჩვენ ვაწვდით სერვისებს ავტომობილში ჩაშენებული SIM ბარათის მეშვეობით. შესაბამისად, ჩვენი სერვისების ხელმისაწვდომობა:

შეზღუდულია ტერიტორიულად იმ რადიოსადგურების მიღებისა და გადაცემის დიაპაზონით, რომლებსაც მართავს შესაბამისი მობილური ქსელის ოპერატორი და შესაძლოა გავლენა იქონიოს როგორც ატმოსფერულმა და ტოპოგრაფიულმა პირობებმა, ისე ავტომობილის ადგილმდებარეობამ და ისეთმა ხელის შემშლელმა ფაქტორებმა, როგორიცაა შენობები; და

დამოკიდებულია ჩაშენებული SIM-ბარათის მხარდამჭერი მობილური ქსელის ფუნქციონალურობასა და ოპერაციულ მზადყოფნაზე.

8.2. 4G/LTE კავშირი (უზრუნველყოფილი გარე სერვისის მიმწოდებლის მიერ) ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ თავსებად მოწყობილობებზე (როგორიცაა საინფორმაციო-გასართობი სისტემა), რომლებიც მხარს უჭერს როუმინგის ცალკეული ქსელების კონკრეტულ 4G/LTE სიხშირეს.

სადაც 4G/LTE არ არის ხელმისაწვდომი, უზრუნველყოფილი იქნება 2G ან 3G კავშირი, რაც დამოკიდებულია საინფორმაციო-გასართობი სისტემის ხელმისაწვდომობასა და ასეთ ქსელებთან მის თავსებადობაზე.

9. სერვისის შეფერხება

9.1. ჩვენ შეიძლება დროებით ან მუდმივად გავთიშოთ სერვისებზე წვდომა სრულად ან ნაწილობრივ, ტექნიკური ან უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე ან სხვა მნიშვნელოვანი მიზეზებით, როგორიცაა ეფექტურობისა და ფუნქციონალურობის გაუმჯობესება, ოპერაციული სისტემის ცვლილებების ასახვა და უსაფრთხოების საკითხების გადაწყვეტა.

9.2. სერვისები შეიძლება დროებით შეწყდეს ან შეიზღუდოს ფორს-მაჟორული გარემობებების ან ჩვენი კონტროლის მიღმა არსებული სხვა მიზეზებით. ასეთი შეიძლება იყოს, მაგალითად, მობილური ქსელის ოპერატორების მიერ მონაცემთა გადაცემაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა ან გამტარუნარიანობის მოკლევადიანი შეფერხება სერვისებზე, უსადენო და ფიქსირებულ ქსელებსა და ინტერნეტზე, პიკური დატვირთვის შედეგად.

9.3. ჩვენ შეიძლება დროებით გავთიშოთ ან შევზღუდოთ სერვისების მიწოდება ტექნიკური ან სხვა ზომების გასატარებლად (მაგ.: შეკეთება, ტექნიკური მომსახურება, პროგრამული განახლებები და გაფართოებები) ჩვენს სისტემებზე ან ზედა და ქვედა წონის სერვისის მიმწოდებლების, კონტენტ-პროვაიდერების ან მობილური ქსელის ოპერატორების სისტემებზე, სადაც ასეთი ღონისძიებები საჭიროა სერვისების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

10. მონაცემებზე წვდომა და გამოყენება

10.1. ეს პუნქტი განსაზღვრავს მონაცემებზე, მათ შორის, იმ პერსონალურ და არაპერსონალურ მონაცემებზე წვდომისა და გამოყენების პრინციპებს, რომლებიც გენერირებულია სერვისების ან ავტომობილის გამოყენებასთან დაკავშირებით („**შესაბამისი მონაცემები**“ ან „**მონაცემები**“), ევროპარლამენტისა და საბჭოს 2023 წლის 13 დეკემბრის (EU) 2023/2854 რეგულაციის შესაბამისად, რომელიც ადგენს მონაცემებზე სამართლიანი წვდომისა და გამოყენების ჰარმონიზებულ წესებს, და ცვლილებების შეტანის შესახებ (EU) 2017/2394 რეგულაციისა და (EU) 2020/1828 დირექტივის შესაბამისად („**მონაცემთა შესახებ კანონი**“).

10.2. ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, ეს პუნქტი ასევე ეხება შესაბამის მონაცემებს აგრეგირებული ფორმით, როდესაც თავდაპირველად შეგროვებული პერსონალური მონაცემები ისეა აგრეგირებული, რომ შეუძლებელია მათი ფიზიკურ პირთან დაკავშირება.

10.3. 10 პუნქტის მიზნებისათვის, ჩვენ საკუთარ თავს ასევე მოვიხსენიებთ, როგორც „**მონაცემთა მფლობელს**“.

[ლიცენზია მონაცემების გამოყენებაზე და მონაცემთა გამოყენების მიზნები]

10.4. არაპერსონალურ შესაბამის მონაცემებთან დაკავშირებით და ამ პირობების მიღებით, თქვენ გვანიჭებთ არაექსკლუზიურ გლობალურ ლიცენზიას, გვქონდეს უფასო წვდომა ამ მონაცემებზე, გამოვიყენოთ და ხელმისაწვდომი გავხადოთ ისინი Hyundai-სა და Genesis-ის შვილობილი კომპანიებისა და მესამე მხარეებისთვის, რომელთა შორისაა, შეზღუდვის გარეშე, მობილობის მონაცემთა პლატფორმები, მობილობისა და ინფრასტრუქტურის სერვისის მიმწოდებლები ან საავტომობილო და მობილობის დარგის სხვა მიმწოდებლები („**ლიცენზია მონაცემების გამოყენებაზე**“), ამ ნაწილში აღწერილი წესით და შემდეგი მიზნებისთვის („**მიზნები**“):

ა) ჩვენ ან Hyundai-ს შვილობილი კომპანიების მიერ შეთავაზებული ნებისმიერი პროდუქტის ან დაკავშირებული სერვისის ფუნქციონირების გაუმჯობესება

ბ) მონაცემთა ანალიზი და სხვა მონაცემებთან მათი გაერთიანება ან სერვისების შესახებ მონაცემთა შექმნა, ჩვენი პროდუქტებისა და სერვისების გაუმჯობესების მიზნით

გ) ახალი პროდუქტების ან სერვისების, მათ შორის, ხელოვნური ინტელექტის (AI) გადაწყვეტების შემუშავება ჩვენ მიერ ან ჩვენი სახელით მოქმედი მესამე მხარეების მიერ ან ჩვენთან თანამშრომლობით

დ) შესაბამისი მონაცემების გაერთიანება სხვა მონაცემებთან ან წარმოებული მონაცემების შექმნა ნებისმიერი კანონიერი მიზნით, მათ შორის, ასეთი აგრეგირებული ან წარმოებული მონაცემების მესამე მხარეებისთვის მიყიდვა ან მათი სხვაგვარად ხელმისაწვდომობა, იმ პირობით, რომ ასეთი მონაცემებით ვერ მოხდება ავტომობილიდან ან სერვისებიდან ჩვენთვის გადმოცემული კონკრეტული მონაცემების იდენტიფიცირება, ასევე, მესამე მხარე ვერ შეძლებს რაიმე მონაცემის ამოღებას.

10.5. ეს გავლენას არ იქონიებს ჩვენს არსებულ თუ სამომავლო უფლებებსა და ვალდებულებებზე, დავამუშაოთ შესაბამისი მონაცემები სხვა დებულებების შესაბამისად ან ამ დებულებისგან დამოუკიდებლად, მაგალითად, დავამუშაოთ შესაბამისი მონაცემები მხოლოდ მომსახურების მიწოდებისა და მასთან დაკავშირებული ამოცანების შესასრულებლად. ამ პირობებზე დათანხმებით თქვენ აღიარებთ, რომ მონაცემთა მფლობელმა ან/და Hyundai-ს და Genesis-ის სხვა ნებისმიერმა კომპანიამ მომსახურების მიწოდება რომ შეძლოს, მათ უნდა გამოიყენონ შესაბამისი მონაცემები; ხოლო მონაცემთა მფლობელს და Hyundai-ს სხვა კომპანიებს უფლება ექნებათ, გამოიყენონ შესაბამისი მონაცემები (i) მომსახურების მიწოდების მიზნით, როგორც ეს აღწერილია ამ პირობებში, (ii) მხარდაჭერის, თავდებობის, გარანტიის ან მსგავსი მომსახურების უზრუნველსაყოფად ან თქვენი ან მესამე მხარის ავტომობილთან ან მომსახურებასთან დაკავშირებული საჩივრების შესაფასებლად, ან (iii) ავტომობილის ან მომსახურების ფუნქციონირების, უსაფრთხოებისა და დაცვის მონიტორინგისა და შენარჩუნებისთვის, ასევე ხარისხის კონტროლის უზრუნველსაყოფად.

10.6. ჩვენ შეგვიძლია მონაცემთა მფლობელის როლი Hyundai-ს სხვა შვილობილ კომპანიას გადავცეთ, რის შემდეგაც ის გახდება მონაცემთა მფლობელი. როგორც წესი, ეს გულისხმობს Hyundai-ს მხრიდან მიმწოდებლის/ხელშეკრულებით გათვალისწინებული პარტნიორის შეცვლას. ამ პირობების დარჩენილი დებულებები ვრცელდება მომსახურებისა და ძირითადი ხელშეკრულებების გადაცემაზე.

10.7. ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას, არ გამოვიყენოთ შესაბამისი მონაცემები, ანუ არაპერსონალური მონაცემები, თქვენი ეკონომიკური მდგომარეობის, აქტივებისა და წარმოების მეთოდების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, ან ნებისმიერი სხვა გზით ინფორმაციის მისაღებად, ავტომობილის ან სერვისების გამოყენების შესახებ, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს თქვენს კომერციულ პოზიციას იმ ბაზრებზე, რომლებზეც აქტიურად საქმიანობთ.

[თქვენი ხელმისაწვდომობა შესაბამის მონაცემებზე]

10.8. თქვენ გაქვთ უფლება, უფასოდ მიიღოთ წვდომა შესაბამის მონაცემებზე, მათ შორის, მეტამონაცემებზე „მონაცემთა აქტის“ შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში, სულ მცირე, იმავე ხარისხით, რაც ჩვენთვის ხელმისაწვდომია ყოვლისმომცველი, სტრუქტურირებული, ფართოდ გამოყენებული და მოწყობილობით წაკითხვადი ფორმატით, უწყვეტად და რეალურ დროში, სადაც ეს მიზანშეწონილი და ტექნიკურად შესაძლებელია.

10.9. ტექნიკური დეტალები მონაცემებზე წვდომის პროცედურის შესახებ ხელმისაწვდომია ბმულზე: https://connected-mobility.hyundai.com/data-rights-en („**მონაცემთა აქტის საინფორმაციო შეტყობინება**“).

10.10. როდესაც ითხოვთ შესაბამის მონაცემებზე წვდომას, შესაძლოა მოვითხოვოთ დამატებითი ინფორმაცია თქვენი ვინაობის, მოთხოვნის კანონიერების და მონაცემებზე წვდომის უფლებამოსილების დასადასტურებლად. ამ მიზნით ჩვენ შეიძლება მოვითხოვოთ შემდეგი:

ა) ავტომობილის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი; ან

ბ) ავტომობილის იჯარის ან დროებითი გამოყენების უფლების სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი; ან

გ) მომსახურებებით სარგებლობის სხვა უფლებების დამადასტურებელი დოკუმენტი.

10.11. თუ არ ხართ ავტომობილის კანონიერი მფლობელი, მონაცემებზე წვდომის მოთხოვნა უნდა წარადგინოთ ავტომობილის მფლობელის მეშვეობით.

10.12. მონაცემებზე წვდომის მინიჭებამდე შესაძლოა, მოგთხოვოთ ტექნიკური და ორგანიზაციული უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფა მონაცემების დასაცავად.

10.13. შესაძლოა, უარი გითხრათ შესაბამის მონაცემებზე წვდომაზე, თუ მონაცემების გამჟღავნებამ (ან მონაცემების შემდგომმა დამუშავებამ) შეიძლება სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს ფიზიკური პირის ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებასა და დაცვაზე.

10.14. გარდა ამისა, გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც თქვენ ვერ უზრუნველყოფთ სავაჭრო საიდუმლოების სახით კლასიფიცირებული შესაბამისი მონაცემების საკმარის უსაფრთხოებას ან იმ შემთხვევაში, თუ ასეთი შესაბამისი მონაცემების გამჟღავნება, მაღალი ალბათობით, სერიოზულ ეკონომიკურ ზიანს მოგვაყენებს, ჩვენ შეიძლება უარი ვთქვათ შესაბამის მონაცემებზე წვდომის მინიჭებაზე.

10.15. შესაბამის მონაცემებზე წვდომის შესახებ თქვენს მოთხოვნაზე უარის შემთხვევაში ჩვენ ასევე ვაცნობებთ შესაბამის ორგანოს. ამ შემთხვევაში, თქვენ უფლება გაქვთ, იცოდეთ თქვენს მოთხოვნაზე უარის მიზეზები და შეიტანოთ საჩივარი შესაბამის ორგანოში. კომპეტენტური ორგანოს შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია მონაცემთა აქტის საინფორმაციო შეტყობინებაში: [https://connected-mobility.hyundai.com/data-rights-en]

10.16. პერსონალურ მონაცემებთან მიმართებით, თუ მოთხოვნილი შესაბამისი მონაცემები მოიცავს პერსონალურ მონაცემებს, გავრცელდება GDPR-ის დებულებები. ასეთ შემთხვევაში, თქვენ შეიძლება მოგეთხოვოთ პერსონალური მონაცემების დამუშავების სამართლებრივი საფუძვლების წარმოდგენა, თუ არ ხართ მონაცემთა სუბიექტი GDPR-ის შესაბამისად, და შეგიძლიათ მოითხოვოთ მხოლოდ თქვენთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემები.

[თქვენ მიერ შესაბამისი მონაცემების გამოყენება]

10.17. თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენთვის ხელმისაწვდომი შესაბამისი მონაცემები ნებისმიერი კანონიერი მიზნით და თავისუფლად გაუზიაროთ ისინი მესამე მხარეებს. თუმცა, თქვენ არ გაქვთ უფლება:

ა) გამოიყენოთ შესაბამისი მონაცემები დაკავშირებული პროდუქტის შესაქმნელად, რომელიც კონკურენციას გაუწევს Hyundai-ს ავტომობილს ან ამ მიზნით გაუზიაროთ შესაბამისი მონაცემები მესამე მხარეებს;

ბ) გამოიყენოთ შესაბამისი მონაცემები ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობის, აქტივებისა და წარმოების მეთოდების ან Hyundai Motor Company-ის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად;

გ) გამოიყენოთ იძულების საშუალებები ან ნებისმიერი ხარვეზი ჩვენს ტექნიკურ ინფრასტრუქტურაში, რომელიც შექმნილია შესაბამისი მონაცემების დასაცავად, მონაცემებზე წვდომის მიღების მიზნით;

დ) გაუზიაროთ შესაბამისი მონაცემები მესამე მხარეს, რომელიც ითვლება მონაცემებზე წვდომის მაკონტროლებლად ევროკავშირის (EU) 2022/1925 რეგულაციის მე-3 მუხლის შესაბამისად (მონაცემებზე წვდომის მაკონტროლებლების განახლებული სია ხელმისაწვდომია ბმულზე: https://digital-markets-act.ec.europa.eu/gatekeepers_en).

ე) **[მიზნებთან დაკავშირებით მონაცემების გაზიარება მესამე მხარეებთან]**

10.18. ჩვენ შესაძლოა გავუზიაროთ შესაბამისი მონაცემები, რომლებიც პერსონალურ მონაცემებს არ წარმოადგენს, Hyundai-ს და Genesis-ის შვილობილ კომპანიებს ან/და მესამე მხარეებს, თუ მესამე მხარე მონაცემებს იყენებს შემდეგი ერთი ან ყველა მიზნისთვის:

ა) მონაცემთა მფლობელის დახმარება მიზნების მიღწევაში

ბ) მიზნების მიღწევა მონაცემთა მფლობელთან თანამშრომლობით

გ) მესამე მხარეების სხვა მიზნები, თუ ეს კონკრეტულად მოითხოვეთ. ამ შემთხვევაში, ჩვენ შეიძლება მოვითხოვოთ კომპენსაცია ასეთი მესამე მხარისგან შესაბამისი მონაცემების გაზიარებისთვის.

10.19. გარდა TUIWorkReportDocFrame და 10.22 პუნქტებში ან/და კონფიდენციალურობის შეტყობინებაში [https://notice.hyundai.com/cci_hyundai_eu/term/PN_HCM_Test1] აღწერილი შემთხვევებისა, შესაბამის მონაცემებს გავაზიარებთ მხოლოდ თქვენი მოთხოვნით, რომელიც შეგიძლიათ წარმოგვიდგინოთ ჩვენ ან თქვენ მიერ არჩეულ მესამე მხარეებს. დამატებითი ინფორმაციისთვის მოთხოვნის პროცედურის შესახებ იხილეთ მონაცემთა აქტის საინფორმაციო შეტყობინება: [https://connected-mobility.hyundai.com/data-rights-en]

10.20. მესამე მხარესთან ისეთი შესაბამისი მონაცემების გაზიარებისას, რომლებიც არ არის პერსონალური, ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ მესამე მხარეზე გავრცელდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები:

ა) არ გამოიყენოს შესაბამისი მონაცემები რაიმე მიზნით ან ფორმით, რომელიც სცილდება ამ პუნქტით დასაშვებ საზღვრებს;

ბ) არ მოიპოვოს ინფორმაცია თქვენი ეკონომიკური მდგომარეობის, აქტივების და წარმოების მეთოდების, ან ავტომობილის ან მომსახურების გამოყენების შესახებ ისეთი ფორმით, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს თქვენს კომერციულ მდგომარეობას იმ ბაზრებზე, რომლებზეც მოქმედებთ;

გ) გამოიყენოს ტექნიკური და ორგანიზაციული ხასიათის ზომები, რომლებიც საჭიროა შესაბამისი მონაცემების უსაფრთხოების სათანადო დონის უზრუნველსაყოფად;

დ) არ გააზიაროს შესაბამისი მონაცემები, ვიდრე კონკრეტულად არ მოითხოვთ ან დაეთანხმებით ასეთი მონაცემების გაზიარებას, ან ვიდრე ასეთი მონაცემების გაზიარება მოთხოვნილი იქნება და, ასევე, თქვენს ინტერესებშია მიზნების ან ასეთ მესამე მხარესთან დადებული ნებისმიერი ხელშეკრულების შესრულება.

10.21. არცერთ შემთხვევაში არ გავაზიარებთ შესაბამის მონაცემებს მესამე მხარესთან, რომელიც ითვლება მონაცემებზე წვდომის მაკონტროლებლად ევროკავშირის (EU) 2022/1925 რეგულაციის მე-3 მუხლის შესაბამისად (მონაცემებზე წვდომის მაკონტროლებლების განახლებული სია ხელმისაწვდომია ბმულზე: https://digital-markets-act.ec.europa.eu/gatekeepers_en), თუ ის არ არის მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული.

10.22. ეჭვების თავიდან აცილების მიზნით, ჩვენ და მესამე მხარეები, რომლებთანაც გაზიარდა შესაბამისი მონაცემები, უფლებამოსილი ვართ, ჩვენი შეხედულებისამებრ, გამოვიყენოთ მესამე მხარის მიერ მოწოდებული დამუშავების სერვისები, როგორიცაა ღრუბლოვანი გამოთვლის მომსახურება (მათ შორის, ინფრასტრუქტურა, როგორც სერვისი, პლატფორმა, როგორც სერვისი და პროგრამული უზრუნველყოფა, როგორც სერვისი), ჰოსტინგის სერვისები ან მსგავსი მომსახურებები მიზნების მისაღწევად.

[მონაცემთა გამოყენებაზე ლიზენციის შეწყვეტა]

10.23. შესაბამისი მონაცემების გამოყენება შემოიფარგლება მონაცემთა აქტის საინფორმაციო შეტყობინებაში [https://connected-mobility.hyundai.com/data-rights-en] მითითებული შენახვის ვადებით.

10.24. მომსახურების შეწყვეტა ან გაუქმება იწვევს მონაცემთა გამოყენებაზე ლიცენზიის შეწყვეტას. გაითვალისწინეთ, რომ თუ თქვენ შეწყვეტთ ლიცენზიას მონაცემთა გამოყენებაზე, შეიძლება შეიზღუდოს თქვენ მიერ სერვისების მიღება.

10.25. ლიცენზია მონაცემთა გამოყენებაზე ასევე ავტომატურად შეწყდება:

ა) ავტომობილის გადაცემისას ან სერვისების მუდმივად შეწყვეტისთანავე;

ბ) როდესაც ამოიწურება თქვენი საკუთრების უფლება ავტომობილის გამოყენებაზე (მაგ.: გაყიდით ავტომობილს);

გ) 10.5 პუნქტში მითითებულ შემთხვევაში.

10.26. მონაცემებთა გამოყენებაზე ლიცენზიის ვადის ამოწურვის ან შეწყვეტის შემდეგ ჩვენ აღარ შევაგროვებთ შესაბამის მონაცემებს. თუმცა მონაცემთა მფლობელს უფლება აქვს, დამატებით დაამუშაოს შესაბამისი მონაცემები, რომლებიც გენერირებული ან შეგროვებულია მონაცემების გამოყენებაზე ლიცენზიის ვადის გასვლამდე ან შეწყვეტამდე, როგორც ეს მითითებულია ამ პუნქტში.

[პერსონალური მონაცემების გამოყენება]

10.27. შესაბამისი მონაცემების გამოყენების და გაზიარების წესი, რომლებიც პერსონალურ მონაცემებს წარმოადგენს, დეტალურად არის აღწერილი კონფიდენციალურობის შეტყობინებაში: [https://notice.hyundai.com/cci_hyundai_eu/term/PN_HCM_Test1]

[ავტომობილის გადაცემა. სერვისების დამატებითი მომხმარებლები]

10.28. თუ თქვენს ავტომობილს გაყიდით ან სხვაგვარად მუდმივად გადასცემთ მას მესამე მხარეს (მაგალითად, გააფორმებთ ავტომობილის გრძელვადიანი იჯარის ხელშეკრულებას), თქვენ უნდა დაიცვათ 7.4 პუნქტში მითითებული მოთხოვნები.

10.29. თუ სხვა პირს („**დამატებითი მომხმარებელი**“) ნებას დართავთ, ისარგებლოს სერვისებით, თქვენ უნდა უზრუნველყოთ შემდეგი:

ა) დამატებითი მომხმარებელი დაეთანხმა და მიიღო გამოყენების ეს პირობები და კონკრეტულად ეს პუნქტი;

ბ) თქვენ მხარს უჭერთ დამატებით მომხმარებელს მის ნებისმიერ მოთხოვნაში შესაბამის მონაცემებთან დაკავშირებით, კერძოდ, იქნებით ჩვენი მთავარი საკონტაქტო პირი შესაბამის მონაცემებთან დაკავშირებით;

გ) დაუყოვნებლივ გვაცნობებთ დამატებითი მომხმარებლების ნებისმიერი მოთხოვნის ან პრეტენზიის შესახებ შესაბამის მონაცემებთან დაკავშირებით და ითანამშრომლებთ ჩვენთან ასეთი პრეტენზიის ან მოთხოვნის გადაწყვეტაში, კერძოდ, მოგვაწვდით ნებისმიერ საჭირო ინფორმაციას.

10.30. კანონით დაშვებულ ფარგლებში, თქვენ პასუხისმგებელი ხართ ჩვენთვის ან მესამე მხარისთვის მიყენებულ ნებისმიერი ზიანზე, თქვენი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, როგორც ეს განსაზღვრულია [No Segment found with ID: 1246026] ან/და 7.4 პუნქტებში.

[დამატებითი ინფორმაცია]

10.31. დეტალური ინფორმაცია შესაბამისი მონაცემების და ევროკავშირის მონაცემთა აქტით გათვალისწინებული თქვენი უფლებების შესახებ, ასევე კანონით გათვალისწინებული სხვა ინფორმაცია, ხელმისაწვდომია მონაცემთა აქტის საინფორმაციო შეტყობინებაში: [https://connected-mobility.hyundai.com/data-rights-en]

[ავტორიზებული მომხმარებლის შესაბამის მონაცემებზე წვდომა და გამოყენება]

10.32. თქვენ ჩაითვლებით ავტორიზებულ მომხმარებლად, თუ არ გაქვთ ქონებრივი უფლება სატრანსპორტო საშუალებაზე (მაგ.: საკუთრება ან იჯარა), მაგრამ სერვისებს იყენებთ ბიზნეს საქმიანობის განმახორციელებელი სხვა მხარის („**ბიზნეს მომხმარებელი**“) ავტორიზაციის საფუძველზე, კერძოდ, ესენია:

- თქვენი დამსაქმებელი
- თქვენი ბიზნეს-პარტნიორი, როგორიცაა ავტომობილების გაქირავების კომპანია.

10.33. 10.1 - 10.30 პუნქტები არ ვრცელდება ავტორიზებულ მომხმარებლებზე. ბიზნეს-მომხმარებლებს მოეთხოვებათ, მოგაწოდონ კანონით გათვალისწინებული ყველა ინფორმაცია, კერძოდ, თუ როგორ და რა მიზნებისთვის გამოიყენება შესაბამისი მონაცემები, როგორ შეიძლება მათზე წვდომა და ვისთან ხდება მათი გაზიარება. შესაბამისი ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდით ბიზნეს-მომხმარებელს.

10.34. ავტორიზებულმა მომხმარებლებმა შესაბამის მონაცემებზე წვდომის მოთხოვნა, რომლებიც არ წარმოადგენს პერსონალურ მონაცემს, უნდა წარადგინონ ბიზნეს-მომხმარებლის მეშვეობით.

10.35. პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული თქვენი უფლებები უცვლელი რჩება, როგორც ეს აღწერილია კონფიდენციალურობის შეტყობინებაში: [https://notice.hyundai.com/cci_hyundai_eu/term/PN_HCM_Test1]

11. მონაცემთა დაცვა და კიბერუსაფრთხოება

11.1. ჩვენ მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების შესახებ ინფორმაციის მისაღებად იხილეთ ჩვენი „შეტყობინება კონფიდენციალურობის შესახებ“.

11.2. გთხოვთ, აცნობოთ ავტომობილის ნებისმიერ სხვა მძღოლს ან სერვისების პოტენციურ მომხმარებელს, რომ სერვისები გააქტიურებულია და მონაცემების (განსაკუთრებით, მდებარეობა/GPS მონაცემები) შეგროვება და დამუშავება მოხდება „კონფიდენციალურობის შესახებ შეტყობინების“ შესაბამისად.

11.3. საკუთარი უფლებების, როგორც მონაცემთა სუბიექტის, დაცვისას ან სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის შესაბამისად (მაგ.: თანხმობის გაუქმება), ეს გავლენას არ იქონიებს ამ პირობებზე დაფუძნებული ხელშეკრულების კანონიერებაზე.

11.4. თუმცა ჩვენ შეგვიძლია შევწყვიტოთ ამ პირობებზე დაფუძნებული ხელშეკრულება წინასწარი შეტყობინების გარეშე,

- თუ გააუქმებთ თანხმობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან უარს განაცხადებთ თქვენი პერსონალური მონაცემების შემდგომ დამუშავებაზე, და
- თუ ჩვენ ვერ გავაგრძელებთ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებს ხელშეკრულებით დადგენილი ვადით, ან სავალდებულო თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წინასწარი შეტყობინების ვადამდე, მონაცემთა დამუშავების მოცულობის გათვალისწინებით, რაც კვლავ ნებადართულია, მხარეთა ინტერესების შესაბამისად.

11.5. კიბერუსაფრთხოების შესაბამისი სტანდარტების სწორი მართვის უზრუნველყოფის მიზნით, ჩვენი ავტომობილები, მოდელიდან გამომდინარე, შეიძლება აღჭურვილი იყოს კიბერუსაფრთხოების დამატებითი ფუნქციებით.
შესაბამისად, ავტომობილში სერვისების გააქტიურების შემდეგ თქვენი ავტომობილის კიბერუსაფრთხოების დონე მუდმივად გაკონტროლდება, რათა დაუყოვნებლივ აღმოვაჩინოთ და აღმოვფხვრათ შესაძლო კიბერსაფრთხეები.
რისკის დადგენამდე უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოვლენის მონაცემები ავტომობილში შეინახება.
კიბერუსაფრთხოების ფუნქციები შეიძლება დროდადრო განახლდეს კიბერუსაფრთხოების სტანდარტების დაცვის მიზნით.
დამატებითი ინფორმაციისთვის, თუ როგორ ვაგროვებთ და ვამუშავებთ პერსონალურ მონაცემებს ამ მიზნებისთვის, გაეცანით ჩვენს „შეტყობინებას კონფიდენციალურობის შესახებ“.

12. ვადა

12.1. სერვისების გამოყენება შეგიძლიათ თქვენს ავტომობილში Bluelink-ის ან GCS-ის გააქტიურების შემდეგ.

12.2. ამ პირობებზე დაფუძნებული ხელშეკრულება ავტომატურად შეწყდება:

ა) როდესაც ავტომობილს გამყიდველს დაუბრუნებთ იმ შემთხვევაში, თუ თქვენი ავტომობილის ნასყიდობის (ან იჯარის) ხელშეკრულება გაუქმდება ან ანულირდება; ან

ბ) უფასო პერიოდის ამოწურვის შემდეგ, თუ შემდგომ არ გამოიწერთ მომსახურების პაკეტს (იხილეთ პუნქტი 3).

12.3. ჩვენ შეგვიძლია დროებით დავბლოკოთ თქვენ მიერ სერვისების გამოყენება ან შევწყვიტოთ ხელშეკრულება სერვისების გამოყენების მუდმივად დაბლოკვის გზით, თუ თქვენ არსებითად დაარღვევთ ამ წესებს.

13. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება (მხოლოდ მომხმარებლებისთვის)

13.1. ინსტრუქციები ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ
ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენება, როგორც ქვემოთ არის აღწერილი, ვრცელდება მხოლოდ მომხმარებლებზე, ე.ი. ნებისმიერ ფიზიკურ პირზე, რომელიც დებს იურიდიული ძალის მქონე გარიგებას იმ მიზნებისთვის, რაც უმეტესწილად სცილდება სავაჭრო, ბიზნეს ან პროფესიულ სფეროებს.
<u>ინსტრუქციები ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ</u>
<u>ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება</u>
თქვენ გაქვთ უფლება, ყოველგვარი მიზეზის გარეშე გახვიდეთ ამ ხელშეკრულებიდან 14 დღის განმავლობაში.
ხელშეკრულებიდან გასვლის ვადა სრულდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 დღის შემდეგ.
ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებით სარგებლობისთვის უნდა შეგვატყობინოთ მკაფიო განცხადებით (Hyundai Connected Mobility GmbH, Kaiserleipromenade 5, 63067 Offenbach, Germany, +49 69271472377, support.bluelink@hyundai-europe.com (Hyundai-სთვის) ან mygenesis@eu.genesis.com (Genesis-სთვის)) თქვენი გადაწყვეტილების შესახებ ამ ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე.
შეგიძლიათ, სურვილისამებრ გამოიყენოთ ქვემოთ 13.3 პუნქტში მითითებული ხელშეკრულებიდან გასვლის ნიმუში.
ხელშეკრულებიდან გასვლის პერიოდში და თქვენი უფლების გამოყენების ფარგლებში საკმარისია, დადგენილ ვადაში გამოგვიგზავნოთ შეტყობინება თქვენ მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებით სარგებლობის შესახებ.
<u>ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგები</u>
ამ ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში სერვისებზე წვდომა გაგიუქმდებათ, ხოლო თქვენი მომხმარებლის მონაცემები მუდმივად წაიშლება.

13.2. თქვენი უფლება ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ გავლენას არ იქონიებს უფლებაზე, ნებისმიერ დროს, რაიმე მიზეზით ან მის გარეშე, გამორთოთ სერვისები საინფორმაციო-გასართობ სისტემაში.

13.3. ხელშეკრულებიდან გასვლის ფორმის ნიმუში
(ეს ფორმა შეავსეთ და დაგვიბრუნეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გსურთ ხელშეკრულებიდან გასვლა).

- Hyundai Connected Mobility GmbH, Kaiserleipromenade 5, 63067 Offenbach, Germany, +49 692147377, support.bluelink@hyundai-europe.com (Hyundai-სთვის) ან mygenesis@eu.genesis.com

(Genesis-ისთვის)

მე/ჩვენ (*) გაცნობებთ, რომ გავდივარ/გავდივართ (*) ხელშეკრულებიდან შემდეგი პროდუქტების (*) ნასყიდობის/შემდეგი სერვისის (*) მიწოდების შესახებ,

- რომელიც შეკვეთილია(*)/მიღებულია(*) [თარიღი],
- მომხმარებლის/მომხმარებლების სახელ(ებ)ი,
- მომხმარებლ(ებ)ის მისამართი,
- მომხმარებლ(ებ)ის ხელმოწერა (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ფორმა წარდგენილია ქაღალდზე),
- თარიღი

(*) წაშალეთ საჭიროებისამებრ.

14. ცვლილებები

ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, შევიტანოთ შესწორებები ამ პირობებსა და სერვისებში მომავალში ეკონომიკური, სამართლებრივი და ტექნიკური განვითარების გათვალისწინებით, შემდეგი პირობების შესაბამისად.

14.1. ცვლილებები, რომლებიც იურიდიულად თქვენთვის ხელსაყრელი ან ნეიტრალურია, ძალაში შევა დაუყოვნებლივ.

14.2. გარდა ამისა, შეგვიძლია შევიტანოთ ცვლილებები სერვისებში, რომლებიც სცილდება ხელშეკრულებასთან შესაბამისობისთვის საჭირო ფარგლებს (მაგ.: განახლებები, შდრ. პუნქტი 5) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ასეთი ცვლილების საფუძვლიანი მიზეზი, ცვლილება არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს თქვენთვის, ასევე არ შეცვლის სერვისების არსს და თქვენ ინფორმირებული იქნებით ცვლილებების შესახებ მკაფიო და გასაგები ენით.

საფუძვლიანი მიზეზი უნდა არსებობდეს, თუ ცვლილება საჭიროა შემდეგი მიზნებისთვის:

- სერვისებზე წვდომისა და მათი გამოყენების გაუმჯობესება (მათ შორის, ახალი ფუნქციების ან ფუნქციონალურობის დანერგვა ან არსებულის გაუმჯობესება),
- სერვისების შესაბამისობა შესწორებულ სამართლებრივ მოთხოვნებთან,
- სერვისების ადაპტირება ჩვენი ან მესამე მხარის მიერ ოპერირებად სისტემებში განხორციელებულ ტექნიკურ ცვლილებებთან, ან ჩვენი მომხმარებლების სისტემებში არსებულ ტექნიკურ სიახლეებთან;
- ცვლილებები განპირობებულია მნიშვნელოვანი ოპერაციული მიზეზებით;
- ცვლილებები აუცილებელია გამოყენების ამ პირობებში არსებული ორაზროვნების, უზუსტობის ან საკანცელარიო შეცდომების აღმოსაფხვრელად; ან
- შეიცვალა ამ გამოყენების პირობებში მოცემული საკონტაქტო მონაცემები, სახელები და გვარები, საიდენტიფიკაციო ნომრები, ელექტრონული მისამართები ან ბმულები.

14.3. 14.2 პუნქტში გათვალისწინებული ცვლილებების შემთხვევაში, რომლებიც მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს თქვენ მიერ სერვისების წვდომასა და გამოყენებაზე, წინასწარ გეცნობებათ გონივრული შეტყობინებით, მკაფიო და გასაგებ ენაზე, სანდო საშუალებით, ცვლილებების არსის და დროის შესახებ, ასევე თქვენს უფლებაზე, ნებისმიერ დროს შეწყვიტოთ ხელშეკრულება უფასოდ, თუ არ მოგანიჭებთ წვდომას უცვლელ სერვისებზე და გამოყენების უფლებას დამატებითი საფასურის გარეშე.

ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებით სარგებლობა ასევე შეგიძლიათ საინფორმაციო-გასართობ სისტემაში სერვისების გამორთვის გზით.

14.4. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ პირობების ყველა სხვა არსებითი ცვლილებისას, წინასწარ შეგატყობინებთ დაგეგმილი ცვლილებების თაობაზე.

თუ შეტყობინებიდან ორი კვირის განმავლობაში არ მოგვმართავთ წერილობით (მაგ.: გამოგვიგზავნით წერილს ან ელფოსტას), ჩაითვლება, რომ ეთანხმებით ცვლილებებს (ამის შესახებ შეგახსენებთ დაგეგმილი ცვლილებების შესახებ შეტყობინების დროს).

თუ ცვლილებებს არ დაეთანხმებით, ჩვენ შეიძლება შევწყვიტოთ ამ პირობებზე დაფუძნებული ხელშეკრულება იმ თარიღიდან, როდესაც ცვლილებები უნდა ამოქმედებულიყო.

15. სხვადასხვა

15.1. გამოყენების ეს პირობები (ასევე, მონაცემთა დაცვის შესახებ ნებისმიერი განცხადება) ასახავს თქვენსა და ჩვენ შორის შეთანხმებას სერვისების შესახებ და წარმოადგენს ხელშეკრულებას სერვისებთან დაკავშირებით.

ამ ხელშეკრულების ფარგლებში თქვენი ან ჩვენ მიერ გაკეთებული ნებისმიერი განცხადება ან შეტყობინება, მაგალითად, ხელშეკრულების პირობების შეცვლასთან ან ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებით, ძალაში შედის მხოლოდ წერილობითი ფორმით (მაგალითად, წერილის ან ელფოსტის) წარდგენით, ან ამ პირობებში მკაფიოდ განსაზღვრული წესის შესაბამისად.

ზეპირი განცხადებები და შეთანხმებები არ არის საკმარისი.

15.2. ჩვენ მივიღებთ მხოლოდ იმ დამატებით ან სხვა პირობებს, რომლებსაც უშუალოდ დავეთანხმეთ წერილობით.

15.3. ჩვენ შეგვიძლია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჩვენი უფლებები და მოვალეობები მესამე მხარეს გადავცეთ სრულად ან ნაწილობრივ.
ასეთი დაგეგმილი გადაცემის შესახებ ჩვენ არაუგვიანეს ოთხი კვირით ადრე გაცნობებთ.
თუ ასეთ გადაცემას არ დაეთანხმებით, შეგიძლიათ, ნებისმიერ დროს შეწყვიტოთ ჩვენთან დადებული ხელშეკრულება (ამის შესახებ შეგახსენებთ დაგეგმილი გადაცემის შესახებ შეტყობინების დროს).

15.4. თუ ჩვენი ხელშეკრულების რომელიმე პირობა ბათილად იქნება ცნობილი, თქვენ და ჩვენ ვთანხმდებით, რომ ჩვენი ხელშეკრულების სხვა პირობები ძალაში დარჩება და ეს მათზე გავლენას არ იქონიებს.

15.5. ამ პირობების თითოეული პუნქტი მოქმედებს დამოუკიდებლად. თუ სასამართლო ან შესაბამისი ორგანო გადაწყვეტს, რომ რომელიმე მათგანი უკანონოა, დარჩენილი პუნქტები სრულად დარჩება ძალაში.

15.6. ამ ხელშეკრულების აღსრულების დაგვიანების შემთხვევაში შეგვიძლია, მოგვიანებით აღვასრულოთ ის. თუ არ მოვითხოვთ რაიმე ქმედების დაუყოვნებლივ განხორციელებას, რომელიც საჭიროა ამ პირობების შესაბამისად, ან თუ ვაგვიანებთ თქვენ წინააღმდეგ ზომების მიღებას, თუკი დაარღვევთ ამ ხელშეკრულებას, ეს არ ნიშნავს, რომ თქვენ არ უნდა განახორციელოთ ეს ქმედება. ასევე, ეს არ შეგვიშლის ხელს თქვენ წინააღმდეგ ზომების მიღებაში მოგვიანებით.

16. მომხმარებელთა მომსახურება / საჩივრები

16.1. შეკითხვების ან საჩივრების შემთხვევაში შეგიძლიათ, დაგვიკავშირდეთ მისამართზე:
Hyundai Connected Mobility GmbH, Kaiserleipromenade5, 63067 Offenbach, Germany
ტელეფონი: +49 69271472377
ელ-ფოსტა: support.bluelink@hyundai-europe.com (Hyundai-სთვის) ან mygenesis@eu.genesis.com (Genesis-ისთვის)

16.2. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა გულისხმობს პროცესს, როდესაც დამოუკიდებელი ორგანო განიხილავს დავას და იღებს გადაწყვეტილებას სასამართლოსთვის მიმართვის გარეშე. ევროკომისია უზრუნველყოფს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის პლატფორმას.
პლატფორმა ხელმისაწვდომია ბმულზე: http://ec.europa.eu/consumers/odr/. Hyundai არ არის ვალდებული და არ მონაწილეობს დავების ალტერნატიული მოგვარების პროცესებში მომხმარებლებისთვის დავების ალტერნატიული გადაწყვეტის ორგანოს წინაშე.

17. გარანტია

17.1. იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებული სერვისები არასრულია, გამოიყენება საგარანტიო ვალდებულებები მოქმედი სავალდებულო დებულებების შესაბამისად.

17.2. გარდა ამისა, სერვისებთან დაკავშირებით მოქმედებს შემდეგი დებულებები:

ა) თუ თქვენ არ ან სათანადოდ ვერ დააინსტალირებთ განახლებას, ჩვენ არ ვიქნებით პასუხისმგებელი სერვისების გაუმართაობაზე, რასაც კონკრეტული განახლების არქონა გამოიწვევს.

ბ) როგორც წესი, თუ სერვისები (განახლებების ჩათვლით) გაუმართავია, ჩაითვლება, რომ სერვისები წინა პერიოდშიც ხარვეზით მიეწოდებოდა. ეს წესი არ მოქმედებს, თუ

1. თქვენი ციფრული გარემო არ იყო სერვისების ტექნიკურ მოთხოვნებთან თავსებადი ჩვენი შეტყობინების მომენტში, ან
2. ჩვენ ვერ ვიკვლევთ, შესრულდა თუ არა ტექნიკური მოთხოვნები თქვენ მიერ თანამშრომლობაზე უარის შედეგად შესაბამისი გარემოებების სათანადო წესით გამოკვლევაში, და იქ, სადაც ამ მიზნებისთვის შესაძლებელია, რისთვისაც გვსურდა შესაბამისი გარემოებების დადგენისთვის ისეთი ტექნიკური საშუალებების გამოყენება, რომლებიც თქვენს სივრცეში ყველაზე ნაკლებად შეჭრას გულისხმობს.

17.3. როდესაც პრეტენზიებს გამოთქვამთ ხარვეზებთან დაკავშირებით, თქვენ უნდა ითანამშრომლოთ ჩვენთან გონივრულად საჭირო და შესაძლო ფარგლებში, რათა შევძლოთ გამოვიკვლიოთ, ხარვეზის მიზეზი თქვენს ციფრულ გარემოში ხომ არ იყო.
თქვენი ვალდებულება თანამშრომლობაზე შემოიფარგლება ტექნიკურად ხელმისაწვდომი საშუალებებით, რომლებიც თქვენს სივრცეში ყველაზე ნაკლებად შეჭრას გულისხმობს.

18. პასუხისმგებლობა

18.1. ჩვენ არ ვაგებთ პასუხს თქვენ წინაშე სერვისების მეშვეობით გადაცემული მონაცემებისა და ინფორმაციის სიზუსტესა და დროულობაზე.

18.2. ჩვენ არ ვაგებთ პასუხს თქვენ წინაშე სერვისების შეჩერების, შეფერხების ან ფუნქციური დარღვევებით გამოწვეული შედეგებისთვის.

18.3. ჩვენ პასუხისმგებელ ვართ თქვენ წინაშე ჩვენ მიერ გამოწვეული წინასწარ განჭვრეტადი ზარალისა და ზიანისთვის.
თუ ჩვენ ვერ შევასრულებთ გამოყენების ამ პირობებს, პასუხს ვაგებთ იმ დანაკარგსა თუ ზიანზე, რომელიც ჩვენ მიერ ამ პირობების დარღვევის ან სიფრთხილის გონივრული ზომის და უნარების გამოუყენებლობის შედეგად დადგა, რაც წინასწარ იყო განჭვრეტადი, მაგრამ პასუხს არ ვაგებთ რაიმე დანაკარგსა თუ ზიანზე, რომელიც არ არის წინასწარ განჭვრეტადი. დანაკარგი ან ზიანი წინასწარ განჭვრეტადია, თუ მისი დადგომის ალბათობა აშკარაა, ან თქვენ მიერ გამოყენების ამ პირობებზე დათანხმების დროს ორივემ მხარემ ვიცოდით მისი შესაძლო დადგომის შესახებ.

18.4. ჩვენ არ გამოვრიცხავთ და არ ვზღუდავთ ჩვენს პასუხისმგებლობას თქვენ წინაშე რაიმე ფორმით, თუ ამის გაკეთება უკანონო იქნება.
ეს მოიცავს პასუხისმგებლობას ჩვენი ან ჩვენი თანამშრომლების, აგენტების ან ქვეკონტრაქტორების დაუდევრობით გამოწვეული გარდაცვალების ან ფიზიკური ზიანის, ასევე თაღლითობის ან შეცდომაში განგებ შეყვანის შემთხვევებზე.

18.5. ჩვენ პასუხს ვაგებთ თქვენი ქონების ზიანზე. თუ ჩვენ მიერ მიწოდებული დეფექტიანი ციფრული კონტენტი აზიანებს თქვენს მფლობელობაში არსებულ მოწყობილობას ან ციფრულ კონტენტს, ჩვენ გამოვასწორებთ დაზიანებას ან გადაგიხდით კომპენსაციას.
ამის მიუხედავად, ჩვენ პასუხს არ ვაგებთ ზიანზე, რომლის თავიდან არიდებაც შესაძლებელი იქნებოდა ჩვენი რჩევის გათვალისწინების შემთხვევაში, რომ გამოგეყენებინათ უფასოდ შემოთავაზებული განახლება; ასევე, პასუხს არ ვაგებთ ზიანზე, რომელიც გამოწვეულია თქვენ მიერ ინსტალაციის მითითებების არასწორად შესრულებით ან ჩვენ მიერ რეკომენდებული მინიმალური სისტემური მოთხოვნების შეუსრულებლობით.

18.6. ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელი ბიზნეს დანაკარგებზე. Hyundai Bluelink და Genesis Connected Services განკუთვნილია პირადი გამოყენებისთვის. თუ Hyundai Bluelink-ს ან Genesis Connected Services-ს იყენებთ კომერციული, ბიზნეს ან ხელახალი გაყიდვის მიზნით, ჩვენ არ ვიქნებით თქვენ წინაშე პასუხისმგებელი მოგების დაკარგვის, ბიზნესის დაკარგვის, ბიზნესის შეფერხების ან ბიზნეს შესაძლებლობების დაკარგვისთვის.

18.7. Hyundai Bluelink, Genesis Connected Services და სერვისები მოგეწოდებათ ზოგადი ინფორმაციისთვის. ისინი არ გთავაზობთ რჩევებს, რომლებსაც უნდა დაეყრდნოთ.
მიიღეთ პროფესიონალის ან სპეციალისტის რჩევა რაიმე ქმედების განხორციელებამდე ან მისგან თავის შეკავებამდე Hyundai Bluelink, Genesis Connected Services ან სერვისების მეშვეობით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.
მიუხედავად იმისა, რომ გონივრული ძალისხმევის ფარგლებში ვცდილობთ განვაახლოთ Hyundai Bluelink-ის, Genesis Connected Services-ის და სერვისის მეშვეობით მიწოდებული ინფორმაცია, ჩვენ არ ვიძლევით რაიმე პირდაპირ ან ირიბ პირობას, თავდებობას ან გარანტიას, რომ ასეთი ინფორმაცია ზუსტი, სრული ან განახლებულია.

18.8. Hyundai Bluelink-ის, Genesis Connected Services-ის და სერვისების შემუშავება არ ითვალისწინებს თქვენი ინდივიდუალური მოთხოვნების დაკმაყოფილებას. გთხოვთ, შეამოწმოთ, რამდენად აკმაყოფილებს Hyundai Bluelink, Genesis Connected Services და სერვისების ტექნიკური საშუალებები და ფუნქციები თქვენს მოთხოვნებს.

19. იურისდიქციის ადგილი და მოქმედი კანონმდებლობა

19.1. ექსკლუზიური იურისდიქციის ადგილი ყველა საჩივრისთვის, რომელიც სავაჭრო ობიექტებთან საქმიანი ურთიერთობისას წარმოიქმნება, არის ოფენბახი.

19.2. იმავე იურისდიქციის განსჯადობა ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელს არ აქვს ძირითადი იურისდიქციის ადგილი გერმანიაში, თუ ის შეიცვლის მუდმივ ან რეგულარულ საცხოვრებელ ადგილს ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ან თუ მისი მუდმივი/რეგულარული საცხოვრებელი ადგილი ცნობილი არ იქნება საქმის წარმოების დაწყების მომენტში.

19.3. ყველა დავა, რომელიც ამ სახელშეკრულებო ურთიერთობიდან ან მის საფუძველზე წარმოიქმნება, რეგულირდება გერმანიის კანონმდებლობით, საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ გაეროს კონვენციის (CISG) გამოკლებით.
თუ კლიენტი არის მომხმარებელი, ე.ი. ყველა ფიზიკური პირი, რომელიც დებს სამართლებრივ გარიგებას იმ მიზნებისთვის, რაც ძირითადად მისი ვაჭრობის, ბიზნესის ან პროფესიის არეალის მიღმაა, სამართლის აღსრულების ეს წესი გავრცელდება იმდენად, რამდენადაც მომხმარებლისთვის უზრუნველყოფილი იქნება მომხმარებელთა დაცვის სავალდებულო დებულებები იმ ქვეყანაში, რომელშიც მომხმარებელს გააჩნია რეგულარული საცხოვრებელი ადგილი შეკვეთის გაფორმების მომენტში.
დანართი 1: ქვეყნების ჩამონათვალი
ავსტრია
Hyundai ImportGesellschaft m.b.H.

Richard Strauss Straße 14
1230 Vienna
Austria
კომერციული რეესტრის ნომერი: 47654f

ბელგია

NV Korean Motor Company SA
Pierstraat 229
2550 Kontich
Belgium
კომერციული რეესტრის ნომერი: BE0404273333

ბოსნია და ჰერცეგოვინა

Hyundai-Auto BH d.o.o.
Branilaca Šipa 4C
71000 Sarajevo
Bosnia and Herzegovina
კომერციული რეესტრის ნომერი: 65-01-0799-09

ბულგარეთი

Industrial Commerce Ltd
1797 Sofia
260 Ring Road
Bulgaria
კომერციული რეესტრის ნომერი: 204502867

კანარის კუნძულები

HYUNDAI CANARIAS, S.L.U.
C/ Lomo la Plana, 16
35.019. Las Palmas de Gran Canaria
Las Palmas
კომერციული რეესტრის ნომერი: B76156504

ხორვატია

Hyundai Hrvatska d.o.o.
Ljubljanskaavenija 4C
10090 Jankomir
Grad Zagreb
Croatia
კომერციული რეესტრის ნომერი: HRSR.080961241

კვიპროსი

CTC Automotive Ltd
Shacolas Emporium Park-Annex 4, 4 Verginas Street
2030 Nicosia
Cyprus
კომერციული რეესტრის ნომერი: HE145360

ჩეხეთის რესპუბლიკა

Hyundai Motor Czech s.r.o.
Siemensova 2717/4
155 00 Praha 5
Czech Republic
კომერციული რეესტრის ნომერი: 28399757

დანია

Hyundai Bil Import A/S
Korsvej 1
6000 Kolding
Denmark
კომერციული რეესტრის ნომერი: 14790993

ფინეთი

Hyundai Motor Finland OY
Kellokukantie 2
01300 Vantaa
Finland
კომერციული რეესტრის ნომერი: FI16337337

საფრანგეთი
Hyundai Motor France
Tour Nova – 71 BoulevardNational
92250 La Garenne-Colombes
France
კომერციული რეესტრის ნომერი: 411 394 893
გერმანია (Hyundai)
Hyundai Motor Deutschland GmbH
Kaiserleipromenade 5
63067 Offenbach
Germany
კომერციული რეესტრის ნომერი: HRB 47293
გერმანია (Genesis)
Genesis Motor Deutschland GmbH
Strahlenbergerstraße 110-112
63067 Offenbach am Main
საბერძნეთი
HyundaiHellas S.A.
31, Viltanioti Street
14564Kifissia
Greece
კომერციული რეესტრის ნომერი: 659601000
უნგრეთი
Hyundai Holding Hungary Kft
Cziffra György út 15
1182 Budapest
Hungary
კომერციული რეესტრის ნომერი: 01-09-881438
ისლანდია
BL ehf
Kauptúni 1
210 Garðabær
Iceland
კომერციული რეესტრის ნომერი: 630211-0500
ირლანდია
Hyundai Cars Ireland Limited
JFK Drive, Naas Road
Dublin, 12
Ireland
კომერციული რეესტრის ნომერი: 211878
იტალია
Hyundai Motor Company Italy S.r.l.
Via Giovanni Bensi 11
20152, Milano
Italy
კომერციული რეესტრის ნომერი: MI-1883965
მალტა
Meridian Enterprises Co. Ltd.
Pater House
168 Psaila Street
Birkirkara BKR 9077
Malta
კომერციული რეესტრის ნომერი: C3988
მოლდოვა
Pacific Motors SRL
Chisinau str. Calea Mosilor 5/1
Moldova
კომერციული რეესტრის ნომერი: 1014600041393

ნიდერლანდები
Hyundai Motor Netherlandsb.v.
Hub van Doorneweg14
2171 KZ Sassenheim
The Netherlands
კომერციული რეესტრის ნომერი: 61506230
ნორვეგია
Hyundai Motor Norway AS
Alf Bjerckes vei 8
0582 Oslo
Norway
კომერციული რეესტრის ნომერი: 914 315 816
პოლონეთი
Hyundai Motor Poland Sp. Z o.o.
ul. Woloska 24
02-675 Warszawa
Poland
კომერციული რეესტრის ნომერი: 0000067315
რუმინეთი
Hyundai Auto Romania
Bd. Expozitiei, nr. 2, showroom Hyundai
etaj 1, sector 1, Bucuresti
Romania
კომერციული რეესტრის ნომერი: J40/15805/1994
სერბეთი
Hyundai Srbija d.o.o. Beograd
Milutina Milankovića 7V
11070 Novi Beograd
Serbia
კომერციული რეესტრის ნომერი: 21114804
სლოვაკეთი
Hyundai Motor Czech s.r.o., organizačná zložka Slovaki
Galvaniho 17/A
821 04 Bratislava
Slovak Republic
კომერციული რეესტრის ნომერი: 1610/B
სლოვენია
Hyundai Avto Trade d.o.o. Ljubljana
Brnčičeva 45
1231 Ljubljana – Črnuče
Slovenia
კომერციული რეესტრის ნომერი: 5526485
ესპანეთი
Hyundai Motor España S.L.U.
Calle Quintanapalla 2
28050 Madrid
Spain
კომერციული რეესტრის ნომერი: B85754646
შვედეთი
Hyundai Motor Sweden AB
Hyllie Stationsväg 42
215 32 Malmö
Sweden
კომერციული რეესტრის ნომერი: 559441-2529
შვეიცარია (Hyundai)
ASTARA MOBILITYSWITZERLAND AG
Brandbachstrasse,6
CH-8305 Dietlikon

Switzerland
კომერციული რეესტრის ნომერი: CHE-262.166.165
შვეიცარია (Genesis)
Genesis Motor Schweiz AG
Bahnhofstrasse 6
8001 Zurich
Switzerland
უკრაინა
Hyundai Motor Ukraine LLC
1A Novokonstantynivska Str.,
04080 Kyiv
Ukraine
კომერციული რეესტრის ნომერი: 33261252
გაერთიანებული სამეფო (Hyundai)
Hyundai Motor UK Limited
Ground Floor, Birchwood Building Springfield Drive, Leatherhead, Surrey KT22 7LP
United Kingdom
კომერციული რეესტრის ნომერი: 05446560
გაერთიანებული სამეფო (Genesis)
Genesis Motor UK Ltd
Birchwood Building, Springfield Drive, Leatherhead, Surrey KT22 7LP
United Kingdom